

განთიადი

ორკვირული სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საპოლიტიკო
ჟურნალი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. † ვაჟა-ფშაველა.
2. გენიოსები, დ. თურდოსპირელისა.
3. ლოდინში, დ. თურდოსპირელისა.
4. სვედის ნავი, ლექსი, ს. ტაიფუნისა.
5. ბაბო, გაგრძელება, გ. ებრალიძისა.
6. დავაჩქაროთ თეატრის შენობის აგება,
გ. გრძელიშვილისა.
7. სალაქბო წერილები, პეტრე შირიანი-
შვილისა.
8. ტალღათ კოსნა, ს. ტაიფუნისა.
9. სადღესო, ერობის შესახებ, გ. ხონე-
ლისა.
10. ბიბლიოგრაფია.
11. შვილის საუბარი მამასთან, ბესარიონ
ჭიათურელისა.
12. სამშობლო ქვეყანა, ა. ფრონელისა.
13. სიტყვა კარლო ჩხეიძისა.
14. სიტყვა აკაკი ჩხენკელისა.
15. სიტყვა კარლო ჩხეიძისა.

1 სექტემბერი 1915 წ.

ქ უ თ ა ი ს ი

სტამბა „მობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარქოვისა.

მიიღება 1915 წ. ჰიროკელ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საზოგადოებრივ კურონალ

„გ ა ნ თ ი ა ლ“-ზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლეღის ხელმძღვანე-
ლობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ.,
სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბახათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხე-
ლის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივ-
ნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიციანიძესთან, თომა მთავრიშვილ-
თან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან,
ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, კოწია გამყრელიძესთან,
ხონში—გიგლა მებუჯესთან, კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Ширидо-
новичу Панцхава.

ამიერიდან მ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე
ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნათ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია
„სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამო-
კიდებულია თანამგზავობთა რიცხვის გამრავლებაზე.

გთხოვთ ომში დაქრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი
პორტრეტები.

გთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვი-
გზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია
ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ა. თ. ცინცაძე.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო უწყრნალი.

† ვაჟა-ფშაველა

(1861—1915 წ.)

დიდი სამწუხარო, გულის მოამკვლელი ამბავი მოვიდა თფილისიდან. იქ, ვერაზე, წმ. ნინოს საფათმყოფოში, 27 იელისს, ორშაბათს, საღამოს შვიდ საათზე, გარდაიცვალა ჯერ სრულიათ ვაჟაკი, ნიქიერი ქართველი მწერალი-ბელეტრისტი და ნამდვილი, ქეშმარიტი ხალხური პოეტი ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა საუკეთესო შვილია იმ ფშაველებისა, რომელნიც ბინადრობენ მდ. არაგვის ერთი ნაკადის გარშემო მთებში. იქაურს ქალსა და ვაჟს, როგორც გამიგონია ილიასა და ნიკო ხიზანაშვილისგან, ლექსების თქმა ძალიან ემარჯვებათ, თურმე. ვაჟს მამა და დედის ძმაც (ბიძა) მოლექსენი იყვენ. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რო პავლეს (ვაჟას მამა) შვილებს თითქმის ყველას ძალიან ემარჯვებათ ლექსების წერა და ვაჟს ორი ძმა — ბაჩანა (ნიკო) და თედო ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო პოეტებიც არიან *).

ამათ შორის, საქვეყნო სახელი და დაფნის გვირგვინიც ვაჟას ხელა წილათ თვისი ენერგიული და ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობისთვის.

ამავე დროს, ვაჟა „ახალგაზდა საქართველოს“ შვილია, ილიაზე და აკაკიზე აღზრდი-

*) მაშასადამე, ვაჟას ტალანტი ლექსით წერისა ნაყოფია კოლექტიური, ხალხური სულის მიდრეკილებისა და არა პირადი, ინდივიდუალური შემოქმედებისა.

ლი, რომელთაც „მამული ღვთაღ“ ქონდათ საქვეყნოთ აღიარებული.

„ხარს ვგაეარ ნაიალაღარს,

რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! —

მძინარეც ამას ველუღუნებ“.

ვაჟა-ფშაველა ქართულს მწერლობაში სიმბოლისტათ არის ცნობილი. მარა ამ სიმბოლისტურ პოეზიას დიდი ახსნა და გარკვევა უნდა ჩვენში *).

ვაჟა-ფშაველამ თვისი პროზით და ლექსით გააცოცხლა მთის არე-მარე, იქაური ადამიანები, ცხოველები და მცენარენი. ყველა მათ დამი სიმპატია და სიყვარული უდიდესი, ღრმა და ნაზი გრძნობით აქვს პოეტს გამოხატული.

ვაჟა-ფშაველა, იმდენათ ლირიკოსი არ არის, რამდენათაც ეპიკოსი. ვაჟა საქართველოში ჰირველი ეპიკოსია, რომელმაც ცხოვლათ დახატა მთიელთა, თუშ-ფშავ-ხევსურთა გმირობა და მთელი თავ-გადასავალი.

ვაჟა-ფშაველა დაიბადა, აღიზარდა და ცხოვრობდა ამ ჩვენებურ მთიელთა შორის. იგი პირის-პირ, განუშორებლათ განიცდიდა იმ გმირთა ყოველდღიურ ცხოვრებას, რომლის ნიქიერი პოეტი და აღმწერიც შეიქნა იგი ჩვენს ახალს ლიტერატურაში. ამიტომაც, მას არ განუცდია სხვა ჩვენებურ ახლანდელ მწე-

*) თუ დაგვცალდა, ჩვენ განზრახვა გვაქვს დაწერილებით განვიხილოთ და შევფასოთ ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობა ლიტერატურაში. რედაქცია.

რალ-პოეტებივით, პირ და პირი მიმბაძველობა და რომელიმე ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული შკოლის მოწაფეობა. სწორეთ ამაშია, ამ ორიგინალობაში იმისი ღვაწლი და დამსახურება.

მოგესვენებათ, ქართველი ერის იმ თემმა, სადაც დაიბადა ვაჟა-ფშაველა, დღესაც არ იცის, თუ რა არის წოდება.

იქ ძველის ძველი, უწოდებრივო, მწყემსებისა და მონადირეთა ცხოვრება დღემდე უნაკლოთ შენახულა, იდილიური ელ-ფერით იქაურობა შემოსილია, ძველი თემობა დღესაც არ დაშლილა დაყოველი ადამიანი, ქალია იგი, თუ ვაჟაკი, თვით დარაჯობს თვის პირად სიცოცხლეს და ქონებას.

მე მყავდა ამხანაგები თუში—დათიკო ქადაგიძე და ღერო ცისკარაშვილი. ამათზე გამბედავი. მამაცი და ნიჭიერი ყმაწვილები აღარ შემხვედრია ჩემ სიცოცხლეში...

სწორეთ ასეთი იყო ჩვენი უკვდავი ვაჟაკ! და, აი, ასეთი განუყოფელი, მთელი ბუნების და ხასიათის ადამიანი შეიქნა ბუნებრივთ ჩვენი ებოსის მამათ-მთავარი, — „მთის აწრივი“ ვაჟა, როგორც მას სამართლიანათაც უწოდებენ.

ვაჟა-ფშაველა პირისპირ, მოუშორებლათ ხედავდა იმ ცხოვრებას, რასაც ხატავდა და ერთ წუთსაც ვერ მოაშორებდა თვალს ამ ცხოვრებას, რომ არ ეგრძნო „სულით ობლობა“ და სიკვდილი.

ავით სიკვდილის ქაშს, საავათმყოფოში კიდევ უთხრა, თურმე, სათნოების დას: თუ ღმერთი გწამს, ლოგინი იატაკზე გამიშაღე და გარშემო ყვავილები დამიყარეთ. იქნება, მაშინ მიინც წარმოვიდგინო ჩემი ძვირფასი მთაო.

აი, ასეთი ადამიანი გარდაიცვალა ასე უდროოთ! საუკეთესო მკურნალების შემოწმებითაც, ვაჟა-ფშაველას ავათმყოფობა, რომელმაც მას ბოლო მოუღო, თურმე, ცხრა-ათი ელიწადი ქონია ტანში გამჯდარი და, უსახ-

სრობისა გამო, ვერ მოეხერხებინა თფილისს ჩამოსვლა და წესიერი წამლობა.

სწორეთ აქ არის უშველებელი ტრაგიზმი ჩვენი გამწარებული სულისა, რომელიც აქ... „ვერ გამოამითქვამს ენითა“.

ვაჟა-ფშაველა (ლუკა პავლეს ძე რაზიკა შვილი) ფშავეთში დაიბადა 1861 წ. სოფელს ჩარგალს. მამა იმისი, პავლე რაზიკაშვილი ჯერ მედავითნე იყო, მერე მთავრათ აკურთხეს და, ბოლოს, ღვდლობაც მიიღო და თავის საკუთარს სოფ. ჩარგალში გაამწესეს.

მამა პავლე ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, მწიგნობრობის მოყვარული. დედაც (სამწუხაროთ, დედის სახელი არ ვიცით) ნიჭიერი მანდილოსანი იყო. თურმე, მრავლის უმრავლესი ხალხური, ფშავეური ლექსები ზეპირათ იცოდა და მას „ვეფხისტყაოსნის“ კითხვაც დიდათ ყვარებია.

პავლეს უფროსი ვაჟი, გიორგი სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იგი აცვიფრებდა ყველას თვისი ცოცხალი ნიჭითა და სიმამაცით, გამოიგონია. გიორგი, როგორც ბი გრ. ყაფშიძე წერს („სახ. ფურ“ № 348) საკმაო გავითარებული იყო მრავალ წიგნების კითხვით და რუსთა და ევროპული ლიტერატურაც შესწავლილი ქონებია. აი, ამ ოჯახში მიმდინარობდა აღზრდა და გავითარება ვაჟასი.

მამა პავლემ მეორე ვაჟი, ლუკა- (ვაჟა-ფშაველა) სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. მარა ლუკამ მეორე კლასიდანვე მიაწება მას თავი და ახლათ გახსნილ გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა, როცა განსვენებული კეთილშობილი კაცი სემიონოვი იყო იქ დირექტორათ. ამ სემინარიაშივე ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას განსვენებული არისტოვასილის ძე ქუთათელაძე, ნაზი და სპეტაკი ბუნების პატრონი, ღრმა მამულიშვილი, რომელიც ვაჟას აქცევდა განსაკუთრებულს ყურადღებას.

ვაჟა-ფშაველამ საოსტატო სემინარიის კურსი ოთხი წლის განმავლობაში დაასრულა და

მასწავლებლათ დანიშნა თავის საკუთარს სოფელს ჩარგალშივე, სადაც ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ პირველ დაწყებითი სკოლა დაარსა.

მარა ვაჟამ მასწავლებლობას თავი ვერ დაუდვა და პეტროგრადს გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებათ. აქ იგი გულმხურვალეთაც დაეწაფა სეროიზულ სწავლის მიღებას, ნაიციწო გერბერტ სპენსერის, მაქ. კავალევსკის თხზულებანი, აგრეთვე ისმენდა სახელოვანი პროფესორების ლექციებსაც. სოფლის თარიბი ღვდლის შვილი ნივთიერმა ხელოვანობაშ აწიულა მიეტოვებინა უნივერსიტეტი, საყვარელი სტუდენტობა და საქართველოში ჩამოსულიყო. აქ მან მალე მიიღო ადგილი შინაურის მასწავლებლისა ერთ კერძო ოჯახში ქართლისკენ. ამ შეენიერ, მდიდარ ქართლში შეირთო მან მეუღლე და ოჯახობას მოეკიდა.

1905 წ. ვაჟა-ფშაველა ქ. შ. წ.-კით. გამავრც. საზოგადოების სკოლაში, სოფ. თონეთს, მანგლისის მახლობლათ, დანიშნეს მასწავლებლათ. ჩქარა მასწავლებლობას სულაც მიანება თავი და, ღვედამით დაობლებული, ვაჟა სამუდამოთ დაბინავდა ცოლშვილით სოფელ ჩარგალში.

თავის სამშობლო სოფელში იგი ცხოვრობდა ისე უბრალოთ, როგორც მისივე მეზობლები ფშაველები, მისდევდა მეურნობას და სამწერლო ასპარეზზედაც მუშაობდა ნაყოფიერათ. ხანდახან თფილისს ჩამოხედავდა და თავის ახალ ნაწერებს ქართულ რედაქციებს მიუტანდა ძღვნათ და ფეშქაშათ...

ვაჟა-ფშაველას ავტობიოგრაფიულ ცნობიდან ჩანს, რომ მას შეგირდობაშივე დაუწყია წერა 1877-78 წლებში, გაზ. „დროებაში“. დაუწერია აქ კორესპონდენცია. ლექსების წერა—კი დაიწყო 1880—81 წ. წ. ჯურნალ „იმედში“. ამ ჯურნალში დაისტამბა ორი იმისი ლექსი: „დროება“ და „ყარსის ბოლოს“.

ნიქიერი მწერლის სახელი მან მოიხვეჭა

1884 წ., როცა საყმაწვილო ჯურნალ „ნობათში“ დაისტამბა იმისი კალმის ნაწარმოები „შღლის ნუკრის ნამბობი“.

როცა მთელ საქართველოში მარტო ერთად ერთი გაზეთი „ივერია“ ისტამბებოდა. ვაჟა-ფშაველას ჩვენა ვხედავთ ამ გაზეთში მომუშავეს. ხელმძღვანელი ამ გაზეთისა, დიდი მამათ მთავარი ქართული ახალი ლიტერატურისა დიდი ქებით იხსენიებდა ვაჟას პოემებს, სადაც დახატული იყო მთიელთა გმირობა და თავ-გადასავალი. ილია, ისე ღრმათ იყო დარწმუნებული ვაჟას პოეტური ტალანტის დიადობაში, რომ სიტყვის შებრუნება არ ხერხდებოდა მასთან. რასაკვირველია, ილია აქარბებდა და ამას, უეჭველია, თვითონაც გრძნობდა. მარა ილიას დიდი ქებით ვაჟას ტალანტის მოხსენებამ ის სარგებლობა მოუტანა ვაჟასაც და ქართულს მწერლობასაც, რომ ვაჟამ გარემოებამ დიდი ხალისით და იმედით აამუშავა და ხალისი წერის თითქმის გაუთკეცა იმ კაცს, რომელიც მიყრუებულს მთებში იყო გადავარდნილი და მიწის მუშაობას მისდევდა.

ილიამ გასამხნეველათ ჰონორარიც-კი დაუნიშნა ვაჟა-ფშაველას და სტრიქონობით აძლევდა რედაქცია ჯილდოს, როგორც ზროზისა, ისე ლექსისთვის პირველათ სტრიქონში სამ-სამ კაპიკს აძლევდა, შემდეგ ჰონორარი გადიდებულ იქნა და ლექსებში შაური ეძლეოდა. ბოლოს, ეგჰონორარი თვითურჯა ჰავირათ გაუხადა ილიამ და თვეში ოცდახუთი მანათი დაუნიშნა.

თუ არა ვცდები, ვაჟა-ფშაველა იყო ერთადერთი მწერალი, რომელსაც ამ პირობებში ეძლეოდა ჯამაგირი...

ახლა ადვილათ წარმოიდგენთ, თუ პატროსანი, თავმოყვარე, ნიქიერი ახალგაზდა მწერალი, რატომ იყო გაუტყებელი, დაუზარებელი და თავ დაღებული ქართული მწერლობისთვის და ჩვენ ამას უნდა ვუმაღლოდეთ ილიას, და მხოლოთ მარტო ილიას...

მე, რასაკვირველია, დღესაც არ ვიზიან

რებ ჩვენი პატივცემული კრიტიკოს-ლიტერატორების აზრს, რომ ვაჟა უდიდესი **ეროვნული მგოსანია**. მარა სხვაზე ნაკლებაც არ ვიცი, რომ იგი ფრად თვალსაჩინო ბელეტრისტი იყო ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურისთვის და **ხალხური მგოსანი**, რომელიც შეიქმნა ქართული ეპოსის მამათმთავარი.

ვაჟა-ფშაველა წერდა პატარა ზომის ლექსებს — სიმღერებს, წერდა დიდ პოემებსაც და საბავშვო მოთხრობებს; აგრეთვე წერდა წერილებს მთიელთა ზნე-ჩვეულებათა შესახებ. მარა, ვიმეორებ, ვაჟა-ფშაველა შესანიშნავია, როგორც **ხალხური მგოსანი-ეპიკოსი**.

ვაჟა-ფშაველას ნაწერები ბლომათაა განეული ქართულს ჟურნალ-გაზეთებში. ცალკეც გამოიცა „თხზულებანი“, ერთი ტომი, „საყმაწვილო მოთხრობანი“, „აშოდის, ნათღება“, „ცრემლები“ (ლექსთა კრებული), „ბახტრიონი“. „ბახტრიონს“ გარდა, უნდა მოვიხსენოთ, „გოგოთურ და აფშინა“, „ეთერი“, „სისხლის ძიება“, „ალოდა ქეთელაური“, და კანსაკუთრებით, „გველის ქამია“.

ამ ოთხი თვის წინათ ვაჟა-ფშაველა სამკურნალოთ თფილისს ჩავიდა. ქართველმა საზოგადოებამ ისარგებლა ამ შემთხვევით და მას 35 წ. სალიტერატურო მოღვაწეობის პატივაცემლათ 23 მაისს დღესასწაული გაუმართა. მას შემდეგ, იგი მკურნალებმა დააწვინეს საწალებლათ. პირველათ იწვა თვისი უცნროსი ქმის — სანდროს სახლში, მერე კი წმ. წინოს ააგათმყოფოში, ვერაზე დააწვინეს. იგი აქ მოათავეს საუკეთესო ოთახში, საუკეთესო ქართველი მკუნაღნიც სწამლობდენ და დიდი მზრუნველობითაც უვლიდენ მას. მარა ველარაფერმა ველარ უშველა. ვაჟა-ფშაველა მოკლა წყალ-მანკმა.

ვაჟას დარჩა დაქვრივებულ-დაობლებული ცოლ-შვილი. ორი ვაჟი: ლევანი და ვახტანგი და ორიც ქალიშვილი: თამარი და მარიამი.

მიცვალეზულის ცხედარი წასვენებულ იქნა ქაშვეთის ტაძარში და 2 აგვისტოს, კვირას, დიდუბის პანთეონში დიდის ამბითაც დაკრძალეს.

კვირას მიცვალეზულის წირვა დაიწყო დილის 8 საათზე. მწირველი ბძანდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ლეონიდი. თანამწირველებათ: გორის ეპისკოპოზი ანტონი, არქიმანდრიტები ნაზარი და პიროსი და ქართველი საღვდელოება.

წირვის დროს, ქართველმა მწერალმა — მანდილოსანმა ეკატერინე გაბაშვილმა კუბო შეამკო დაფნის გვირგვინით.

წირვის დროს, ეკლესიაში მობძანდა საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი, წესის აგებაში მონაწილეობის მისაღებათ.

განიცადებზე გრძნობიარე, შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ წირვის შემდეგ, სიტყვა წარმოთქვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა ლეონიდმა.

წირვის შემდეგ, მიცვალეზულს წესი აუგო საქართველოს ექსარხოსმა პიტირიმმა საღვდელოთა თანამწირველობით.

წესის აგების შემდეგ, კუბო ქართველმა მოღვაწეებმა და მწერლებმა გალავანში გამოასვენეს, სადაც წარმოითქვა ორი სიტყვა. პირველათ სიტყვა უთხრა ქ. შ. წ. კ. ვამ. საზოგადოების წარმომადგენელმა, ლუარსაბ ბოცვაძემ, მეორე სიტყვა წარმოთქვა ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა, დათიკო ქელიძემ.

სწორეთ შვა დღის 12 საათზე, ქაშვეთის ტაძრის გალავანიდან სამგლოვიარო პროცესიას ზღვა ხალხის თანხლებით გაემართა გოლოვიანის პროსპექტით, ვერის ხილით, მიხეილის ქუჩით და დიდუბეში მივიდა ორ საათზე. აქ საფლავზე სიტყვები წარმოთქვეს: დიდუბის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა მირიანაშვილმა, ღვდელმა კელენჯერიძემ, ქუთაისის დრამატ. საზოგადოების წარმომადგენელმა გრიგოლ ლალიძემ, მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელმა, ბ-ნმა სულთანოვმა, ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელმა ვ. კოტეტიშვილმა, თფ. ქართველ მუშათა წარმომადგენელმა ახმედ ბეგ პეპინოვმა,

ქიათურის ეროვნულ ჯგუფის მუშათა სახელით ა. იოსელიანმა, ქიათურისვე მუშათა მეორე ჯგუფის წარმომადგენელმა ბ.ნმა ხიზანაშვილმა, განსვენებულის ძმამ, მგოსანმა ბაჩანამ (ნიკო) და ვაჟა-ფშაველას ვაჟმა — ლევანმა უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვით დაიტირა თვისი უსაყვარლესი მშობელი მამა.

ნაშვადღევის სამს საათზე, ცხედარი მშობელი ქვეყნის დედა-მიწას მიიბარეს და საფლავი ყვავილებით მორთეს.

გ ე ნ ი ო ს ი

(ვაჟა-ფშაველას ხსოვნას).

— ჰზე, ჰზე, ჰზე, ჰზე, ჰზე!.. გაღიხითხითა ძველ სამარეში მიცვალბულის ჩონჩხმა, როცა აუარებელმა ხალხმა ამოავსო ახალი სამარე და ნელ-ნელა დაიშალა.

— რა ექნა, რატო ვერე წარა-მარა ხითხითებ და იღრიჯები ტიბუსავით. რა იყო, რა ნახე სასაცილო? — უსაყვედურა მეორე ჩონჩხმა, თუმცა კაცი რომ მუშტრის თვლით დაკვირვებოდა იმის თავის ქალას — შეამჩნევდა, რომ ისიც უცნაურათ კრეჭდა კბილებს.

— როგორ, თუ რა იყო? კამეჩის რქაში ხომ არ იჯექი, შე აბდალო, შენა. განა ვერ დაინახე და ვერ გაიგონე ი ზღვათ ოდენ ხალხს, რა ამბავი ქონდა? ვერ მიხვდი, რომ ასაფლავებდენ ვაჟას, რომლის ლექსებიც ცქრი-ალბებენ ქეთინშაიაც და კისკისშაიაც... ტევრის შრიალშაიაც და ნაკად ჩხრიალშაიაც... ცისკრის ქათქათშაიაც და მწუხრის კმუნვაშაიაც...

— აბდალიცა ხარ და არც არა იცი რა. მთის მძლე არწივი, გენიოსი მგოსანი გარდაიცვალა და შენ ხარხარებ? რა დაგემართა? გლოვის მაგიერია? ნეტავი, არ გყვარებოდა მაინც... რა ვიცი, საფლავშიაც-კი სულ მისი საგარიყრაჟო სიმღერები გაგონდება ხოლმე და...

— რაა და ამ ხალხის საქციელი მახითხი-

თებს. მსგავსათ იმისა, რომ განწირულებას მისცემოდენ და წყვეა-კრულით მოესენეგინათ სიკვდილი, რომელმაც ასე მსახურულათ გამოსტაცა კიდევ ერთი არწივი პოეზიისა, — იგინი დიდის-დიდებით ასაფლავებდენ მას და ღაღადებდენ, რომ მგოსნის სიკვდილი მათ ვერ მოგვრის სასოწარკვეთილებას. პირ-იქით. სასოებით ემსტვალბათ გული. იმედი თვისი ქვეყნისა იღუმალათ ჩანურჩულებთ, რომ „მკედრეთით აღდგენა მხოლოთ იქ შეიძლება, სადაც საფლავებიო“.

ზოგი იმასაც — კი იძახოდა გათხრილ სამარესთან, რომ ვაჟა არ მომკვდარა და არც მოკვდება, ვიდრე იცოცხლებს ერი — მისი დამბადებელი; ვიდრე იარსებებენ მთები — მისი აღმზრდელნი და გამაარწივებელნი...

ღმერთო, რა დოღრიალაა, რა პამპლაუქაა ეს ხალხი... მათს წინაშე გარდაიქცა, ფრთები დაემსხვრა გრძობა-ფიქრთ არწივს... სამუდამოთ დადუმდა მისი ყვირილი... და დუმდა ის, ვინც გაათასირებულ ცხოვრებას ისე ალამაზებდა... შესწყდა ჯადოსნური შეხმატებილება უცხო ორბალისა საუკუნო სიწყველიადეში, გაიღესა მისი აპრიალბებული სული და მათს უფერგილო კქუას — კი იგი უკვდავთ მიიჩნია...

ასევე უკვდავთ აღიარებდენ მეორე ქურუმს სილამაზისა და ქეშმარიტებისას. მარა, აი, ხუთიოდე თვესაც არ გაუვლია, რომ ჯადოსნური შვენიერება მისი არსებობისა მოისპო, გაქრა კვალ-წმინდათ... დარჩა მხოლოთ თავის ქალა, რომელიც ცივს სიცილს აყრის დაფნის გვირგინს, მადლიერმა საქართველომ უკვდავების სიმბოლოთ რიგ მიუძღვნა მოწივებითა...

— მაკვირვებს, ღმერთმანი, შენი უხაბრო ყბელობა. რა ვუყოთ, თუ უღომობელმა სენმა თვისი გაიტანა და მოკვეთა, სიკვდილით შემსტვალა გარდამავალი ნაწილი მათის არსებისა, — მათი სული ხო ნორჩია და უკვდავი, ვით მათი პოეზია...

— ჰზე, ჰზე, ჰზე, ჰზე, ჰზე!.. ძან არ გამოუთავანებინარ ე ნესტიან სამარეს. ალბათ, ჭიებმა თავის კვინიხის ღრღნაც დაგიწყეს, ასე

უილაჯოთ და უგეშოთ, რო მედავები...

ჯერ იმაში ცდები, რო უკვდავი არა ფერია. ყველაფერი ისპობა და კვდება საუკუნოთ... განუმეორებლათ... თვით სიკვდილიც ვერ ასცდება აღსასრულს, ვინაიდან, როდესაც ჩაქრობს მხეს—სიცოცხლის წყაროს და სიცივე სიწყვდიადის ქაოსში გახვევს სოფლიოს, როდესაც აღარაფერი დარჩება მოსასპობი—თვითაც მოკვდება... გაილესება არარაობაში...

ესეც არ იყოს, მაგ მგონებს რაა, თუ მათი ენა-მზეობის შემონაქმედნი არ დაიხოცებიან და საუკუნებს უკლებლივ გადაეცემათ უულამაზეს ლეგენდებათ. მაგათ რაა, როდესაც მათი სახეობა, მათი მეობა, რომელიც ცოცხლობდა... ხარობდა... შეტრფოდა და შეფრთხივდა მხეს, ვარსკვლავებს, ყველა იმას, რასაც შევნიერების პარმონიაში შეაქვს უიღუმალესი მელოდები,—აი, ეს პიროვნება მოკვდა... მოისპო... წაიშალა და აღარც ოდეს გამეორდება.

აღარასოდეს წარმოთქვამს სიყვარულის ლოცვას, სიცოცხლის საგალობელს...

არა, ძმაო, დიადი, გენიოსი შემოქმედნი ადამიანები-კი არ არიან, არამედ, აი, ეს ქია მლიღები, რომელნიც ახლა მე და მენ ძვლებში გვიცოცხვენ დაქიმიოთულნი და ღრღნიან უკანასკნელს ნეშტს ჩვენის სხეულისას..

დღეს, თუ ხვალ ამ ნიჭ-ღვთიანსაც მოაგნებენ და შიქაქტის მოძახილით გამართავენ მეჯილისს მაგის გვაშხე...

ღიახ, ღიახ, გენიოსნი მხოლოთ ეს ქია-ღუები არიან... მხოლოთ ამათგან იწერება და იქნება უკვდავი პოემები და ლეგენდება, მუხამაზები და იამბიკოები სიკვდილზე... სიკვდილისადმი, სიკვდილის თაობაზე...

დადუმდა გაბოროტქით მოლაპარაკე...

სდუმდა მისი თანამოკამათეც...

გაისმოდა მხოლოთ ფუთ-ფუთი ქია-ღუებისა, რომელნიც მაღიანათ შეექცეოდენ გამოფიტულს თვალებს მიცვალებულისას...

კივი. ნავისტო.

დ. თურდოსპირელი.

ლოდინში.

მეგობარო... დავიღალე... დავიღალე, მეგობარო, ლოდინით...

ცრემლთა ფრქვევამ მომინისლა ცისარტყელოვანი ოცნებანი...

ცრემლთა ფრქვევამ დამითალხა ცისკროვანი სიზმრები...

ნუ, მეგობარო... ნულარ აყოვნებ...

მაქმარე ტანჯვა...

დაუღე ზღვარი ჩემს ხანგრძლივს დუმილს..

გადმოიარე სივრცე მანძილი...

მომეშველე...

მომხედე მალე...

მალე მომხედე, თორე არჯალმა, მწვავე არჯალმა დამიავადა თლად გული-კრული...

კარი იღება... კარი იღება...

აჰხ, ვინ, ვინ არის?

ვის მოვაგონდი დავიწყებული?..

კარი იღება...

ვინ უნდა იყოს, თუ არა იგი—ჩემი ზღაპარი...

ვინ უნდა იყოს, ვიღას ვახსოვარ, თუ არა იმას—სულის სულიკოს...

კარი იღება გაუბეღავათ...

თამამად, მეგობარო!..

მხნეთ, გენაცვალე...

რის გერიდება...

რის გეკრძალება?..

მალე, ოხ, მალე გადმოვლე ზღურბლი..

კარი გაიღო...

გაიღო კარი...

და...

ცივი ქარი... ცივი ქარ-ბუქი შემოსრიალდა გველის წივილით...

კარი გაიღო...

გაიღო კარი

და... ცივი ქარი... მსახვრალი ქარი მომეხვია მეგობრის ნაცვლათ...

დ. თურდოსპირელი.

ს ე ვ დ ი ს ნ ა ვ ი .

ნიავე გადავეცე შეგი ფიქრი, კნესა გულისა,
გრძობას ჩავაწან სულთქმა ტკბილი მომავალისა,
ტალღას მივეც და ვუანდერძე სევედა მგონისა,
ზვირთთა ხუილსა ჩაფუქროლე ღალღა მწუხრისა..

შავ ბილიკზე, უგზო მთებში, მარტო დავალ,
მე არა მყავს მეგობარი, ობლათ მივალ...
მივალ ობლათ მოელვარე, აღთქმის მხარეს,
და ვიხილავ მოკაფე მშობელ არეს.
მივეცემ სალამს სამშობლო მთებს, მონარნარეს,
სხივს მოვტაცებ განთიადის ბრწყინავ მთვარეს!..

ნუ თუ ბნელში, მარათ მთებში, ვერ ვიხილავ იმავ სიხმარს,
ღაფშორდები ობოლ ვარსკვლავს, ბედის საზღვარს,
შავ კაემნის ღრმა ქაობში, ფიქრათ მტყორცნის,
სასაფლაოს ცივი სუსხი ობლათ მკოცნის..

სევედის ნავზე გადაცვლურე ზღვა იმედის, ზღვა შეგებისა,
ვასწი, ნივო, ვაარღვიე ნარ-ეკალი ფიქრებისა...
არ შემიდრკე, სულის ტოლო, ზვირთებს მივეცეთ ბედის ლტოლვა,
ჰო, ისმინე, ვით მოისმის მშობელ მხრიდან შეგი გლოვა..

ერთად, ნავო, არ ვემონოთ ქარიშხალის ძლეულ ქროლას,
ერთად განვლოთ ყოფნის კიდე, არ გავექცეთ დიად ბძოლას...
ან ვიხილოთ, ჩემო ნავო, შობელ ქვეყნის განთიადი,
ან ტალღებმა გვითხრას ნანა, ჩვენთვის დადგეს კვალავ წყვილიადი!..
ს. ტაიფუნი.

ბ ა ბ ო .*)

XVI

კვირა დღე იყო, როდესაც ისინი ქ. ვარ-
შავს მივიდნენ. ეს ქალაქი პირველი მოზდი-
ლი საგუბერნიო ქალაქია ლოდის ასპარეზის
მახლობლათ, სადაც დიდ-ძალი დაქრილი ჯა-
რის კაცები მიყავდათ.

*) იხ. „განთიადი“, №12.

ზოგს, მძიმეთ დაქრილებს, აქვე ტოვებდენ
სამკურნალოთ, ზოგს—კი სხვა და სხვა ქალა-
ქებში გზავნიდენ.

ეს ის დრო იყო, როდესაც გამძვინვა-
რებული მტრის ჯარი ჩვენს მიწა-წყალში შე-
მოიქრა და ცეცხლით და მახვილით ანადგუ-
რებდა—ყველაფერს.

საჭირო იყო თავდადებული ბძოლა და
შეერთებული ძალა მტრის საზღვრებიდან გან-

დენისთვის. ქ. თფილისიდან მოსული მოწყალეების დებიც სწორეთ ასეთ დახმარებითი ძალას წარმოადგენდა, თუმც პაწაწკინ ტელეებს, მარა მაინც სასარგებლოს: თვალუწვდენელი ზღვა ხო წვეთებისგან შედგება.

რადგანც ოცდაათამდე დების ერთს საავათმყოფოში მოთავსება შეუძლებელი იყო, საჭიროება მოითხოვდა მათ დანაწილებას.

ბევრმა, უფრო გაბედულებმა, მოწინავე რაზმშიაც ისურვეს გამგზავრება, რაც დიდის სიმოვნებით იქნა დაკმაყოფილებული.

ივან პეტროვიჩთან, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ საავათმყოფოში იქნა უმცროს მკურნალათ დანიშნული, დარჩენ ოთხი-ხუთი ბებია-დედი. მათ შორის ბაბო, რასაკვირველია, ეკატერინა მაქსიმოვნა, ანეტა და ორიოდ სხვაც.

ისინი დაბინადგენ მათდამი მიკუთვნილ ოთახში, და ენერგიულათ თავიანთი მოვალეობის ასრულებას შეუდგენ.

საზოგადოთ, ყოველივე საქმის დასაწყისი მიმზიდველი და სახალისოა. ჩვენ გმირებსაც დიდი აფრთოვანება ეტყობოდა, განსაკუთრებით, პირველ ხანებში. ისინი არ ზოგავდენ შრომას და ენერგიას, რო წყლული დაეამებიათ დაჭრილ მეომართათვის.

განსაკუთრებული გულ-მტკივნეულობა და სიხალისე ეკატერინა მაქსიმოვნასთან ერთად ბაბოს ემჩნეოდა.

მის ბედნიერებას საზღვარი არ ქონდა, სიახლოვეს რო გრძნობდა ვანოს თვალ წინ. სულ იმისი სახე ედგა და ნაზი გრძნობა, საყვარელ აღამიანით გამოწვეული, უხვათ გადაქონდა ავათმყოფებზე.

ავათმყოფებიც, რასაკვირველია, ხედავდენ ბაბოს უანგარო და თავ—დადებულ შრომას და და—მშურის სიყვარულით გული ევსებოდათ. საკმარისი იყო მხოლოთ მისი ტკბილი სიტყვა და სასიამოვნო ჟრუნტელის გამომწვევი შეხება ნაზი თითებით, რო ტკივილები განახევრებოდა.

—დალოცოს ღმერთმა!.. ღეთის—ნიერი აღამიანია... რო დიკო ბაბო არა, რამდენი ხანია მკვდარი ვიქნებოდი ახლა—ეტყოდა

ხოლმე მძიმეთ დაჭრილი თავის მეზობელს, ბაბოს დანახვავზე.

—სწორეთ რო ზეციდან მოვლენილი ანგელოზია. ნამდვილი, ღვიძლი და არ გიზამს იმას, რასაც ეს გვიშობა. აცოცხლოს ღმერთმა მისი მშობლების სასიხარულოთ.—გრძნობით უპასუხებდა მას მეზობელი და მადლიერი თვალებით ბაბოს გადახედავდა.

—მიშველეთ... ვაააი!..—მწარეთ დაიკენესა ამ დროს ტკივილებისგან შეწუხებულმა მეომარმა.

—ნუ გეშინია, ჩემო კარგო, ნუ!.. ამ წუთაში მკურნალი მოვა...—მოყვა მას ბაბოს დამაშვიდებელი ხმა, რომელიც დაჭრილს თავზე ადგა და გახურებულ შუბლზე ხელს უსობდა.

—წყაალი...—წამოიძახა მესამე ტახტზე მწოლიარე ახლათ წვერ—ულვაშ აშლილმა ყმაწვილმა, რომელიც პირ—აღმა გაშხლართულიყო და ამღრვეული თვალებით ჭერს მიჩერებოდა.

ბაბომ ამ დაძახილზე შეწუხებულათ მიმოიხედა. კუთხეში ანეტა დაინახა, რომელიც ფანჯარას მიდგამოდა და ჩაფიქრებულათ გარეთ გაიყურებოდა.

—ანეტა! არ გესმის, რა წყალს ითხოვს ავათმყოფი?!..

ამ სიტყვებზე ანეტა მობრუნდა, უკმაყოფილოთ ბაბოს გადახედა და გარეთ გავიდა.

—კატო!. ა... კატო!—მიუბრუნდა ბაბო! ეკატერინა მაქსიმოვნას, რომელიც მეორე ოთახიდან ეს იყო შემოვიდა.

—რა იყო, გენაცვალე!..—მოისმა კატოს საამური ხმა.

—წყალს ითხოვს ავათმყოფი და მიუტანე, თუ ღმერთი გწამს. მე არ მცალია და, სანამ ანეტა მოიტანდეს...—აღარ დაათავა ბაბომ სიტყვა, ტახტისკენ მიბრუნდა და ავათმყოფის მშვიდება განაგრძო.

XV11

ვარშავის რაიონში გერმანელები სასტიკათ დამარცხდენ. მიუხედავათ იმისა, ორმ ერთი კვირის სასტიკი ზძოლა ჩვენ ჯარს გაცი-

ლებით უარეს პირობებში მოუხდა, მთელი დღეობით წელამდი წყალში იდგენ მეომრები და ისე იგერიებდნენ მტრის იერიშებს. მარა ერთი ადლი მიწაც—არ დაუთმეს საშინელს მტერს..

ყოველ მხრიდან რკალივით გარს შემორტყმული რუსის ჯარისგან, გერმანელები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ და იძულებული გახდნენ მიეტოვებიათ დიდი სხვერპლით აღებული ადგილები.

ქ. ვარშავაში ცხოვრება თან და თან თავის კალაპოტში ჩადგა. ვაჭრები და მრეწველები ქალაქში დაბრუნდნენ და უპატრონოთ მიტოვებულ საქმეს ხელი მოკიდეს. განახლდა რკინის გზებზე მიმოსვლა, ტელეგრაფები და სხვა...

დაპრილები კვლავინდებურათ ბევრი აღარ მოყავდათ: მათ მტრისგან დაბრუნებული ქალაქებში ათავსებდნენ და იქიდან პირდაპირ შიდა გუბერნიებში გზავნიდნენ.

სამხედრო საავთმყოფოში, სადაც ჩვენნი გმირები მსახურებდნენ, შედარებით თავისუფლება იყო. მორჩენის გზაზე დამდგარი ავთმყოფები მხიარულათ გამოიყურებოდნენ და ერთმანეთთან ლაპარაკით თავს ირთობდნენ.

ზოგ იმათგანს ფეხი აღარ ქონდა, ზოგს—ხელი, ზოგს—კი ყინვებისგან სხეულის სხვა და სხვა ნაწილი დაძროდა.

მთელს დარბაზში არა ჩვეულებრივი მყუდროება სუფევდა და ავთმყოფთა დაბალი ხმით საუბარი საამურათ ეფინებოდა იქაურობას.

მზუც ამ დღეს მთელი თავისი სიცხოველით ანათებდა, კეკლუკათ იჭრვიტებოდა ფანჯრებში და სიცოცხლის მომგვრელ სხივების ტალღებში აბანავებდა თავის ავთმყოფ პირ-მშობთ.

— დაიკო ბაბო! თუ არ გეზარება, ერთი გაზეთი წამიკითხე? გავიგო, რას შობიან ის წყველი გერმანეები!..—უთხრა ბაბოს ერთმა შავგვრემანმა ყმაწვილმა კაცმა, ტომით ქართველმა, რომელსაც მარჯვენა ფეხი წაჭრილი ქონდა და წყლულის დაამებას უტდიდა, რო ცალ-ფე-

ხა შვილი სტუმრებოდა საყვარელ მშობლებს.

ამ ახალგაზდას ყველაზე უფრო სუსტი შეხედულობა ქონდა და ამასთან ისეთი ღმობიერი და ბავშური გამომეტყველება, რომ უნებლიეთ იზიდავდა მსახურთა ყურათღებას.

განსაკუთრებით ბაბო იყო მასთან დაახლოვებული და სხვაზე ნეტ ღმობიერებასაც იჩენდა მისდამი. და ეს იმიტო, რომ ეს ყმაწვილი შეხედულებითა და ქცევით ერთ ღროს სათაყვანებელ გიგლას აგონებდა მას, რომელსაც ასე შეუბრალებლათ უღალატა და, რომელიც ახლა იქნებ სულს ლევს სადმე ტრიალ მინდორში, ღვთის ანაბარათ მივდებული...

ბაბომ დიდის სიამოვნებით აუსრულა მიხას (ასე ეძახდნენ ყმაწვილს) თხოვნა, სასთუმალთან მიუჯდა და სასიამოვნო ხმით კითხვა დაიწყო.

— ბაბო, იცი, რა გითხრა!.. -- შეაწყვეტი-ნა მიხამ ბაბოს კითხვა. -- მე შენ მიყვარხარ...

— რაო?!.. წყრომიარეთ შეუტია მას ამ მოულოდნელი სიტყვით გაცვიფრებულმა ბაბომ.

— არა... ისე კი არა, შენ რომ იფიქრე.. -- წყნარათ შენიშნა მას მიხამ, — და ძმურათ, მხოლოთ და — ძმურათ. — თუ, რასაკვირველია, ჩემი ძმობა არ გეთაკილება!..

ბაბოს წყრომამ გადაუარა გულიდან, თვალეზი სიყვარულით და ღმობიერებით ავესო და საამური ღიმილით მიხას თვალეზში ჩააცქერდა.

შენ დიდი ამაგი მიგიძღვის ჩემზე და არ ვიცი, რითი გადაგიხადო, — განაგრძნო ისევ მიხამ. — მე მინდა მცირე სამსახური მაინც გავიწიო, რომელიც შეიძლება სასარგებლო დარჩეს შენთვის..

— აბა... აბა, გამაგებიე, რაში გამოიხატება შენი სამსახური!.. — მხიარულათ შენიშნა მას ბაბომ და გაზეთი განზე გადადვა.

— თავ-დაპირველათ, მე გულ-რწმუნელობას ვითხოვ შენგან... მე შენ კარგათ მიცნობ... ჩემი თავ-გადასავალი მოთხრობილი მაქვს უკვე... ხასიათიც კარგათ მოგეხსენებათ ჩემი!.. მე ყველასთვის კარგი მსურს, განსაკუთრებით — კი

ომისთვის, ვინც მე დედის მაგიერობა გამიწია—
ამ უცხო ქვეყანაში... შენი თავ გადასავალიც
ვიცი, თუმცა—ლა შენ არ გითქვამს ჩემთვის...
მე ისე გავიგე... ჩემი ქუთით და გონებით...
მე ისიც ვიცი, რომ შენ შეყვარებული ხარ...

ბაბო ძლიერ გააცვიფრა ამ უკანასკნელმა
სიტყვებმა, იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი
ივან პეტროვიჩთან კავშირი არავინ იცოდა,
ანეტას გარდა მხოლოდ, და ნუ თუ გამოამ-
ჯღაფნა ანეტამ ყოველივე ეს!

—შენ რა იცი, მე შეყვარებული ვარ, თუ
არა?!.. ცნობის მოყვარობით შეეკითხა იგი
მიხას. ალბათ, ვინმე მოგატყუილებდა...

—არა, ჩემო ბაბო? მე ვერაფერ ვერ მო-
მატყულებს, და არც დავიჯერებ სხვის ნაღ-
პარაკებს, სანამ ჩემი თვლით არ ვნახავ. მე
შეგამჩნიე, რომ შენ შეყვარებული ხარ და გი-
ყვარს—ვინ იცი!.. ჩვენი მკურნალი ივან პე-
ტროვიჩი!..

—?!!

—ამასთან უნდა გამოგიტყდე და მოგახ-
სენო, რომ იგი ივან პეტროვიჩი შენ გლალა-
ტობს, გატყულებს..

—მალატობს... მატყუილებს... ივან პეტ-
როვიჩი... ვანო... არა, არა... შენ სტყუი...
შენ ცდები მიხა... ცდები...

—არ ვცდები, თორე სასიამოვნოა, ჩემო
დაიკო!.. მოთმინება იქონიე და ყველაფერს
თვით გაიგებ... შენი თვლით ნახავ... ღმერ-
თმაც ქნას, რომ ჩემი სიტყვები ტყუილი დარჩეს..
მე ეს გამიხარდება...

—არა, არა, ეს შეუძლებელია...—მწა-
რეთ ჩაილაპარაკა ბაბომ, თავზე ხელები შა-
მოაქიდა, თითქოს უნდა დაეხშო მოგუბებული
ბოლმა და ჩქარის ნაბიჯით დარბაზიდან გავი-
და..

XVIII

ახლგაზდა მეომრის დაკვირება და სიტ-
ყვები მართალი გამოდგა. ივან პეტროვიჩმა
დაიკმაყოფილა რა თვისი აღვირ წახნილი
გრძნობები, გული გაუცივდა ბაბოზე და სხვა
სხვერპლს მიმრთა, რომ მეორე ახლგაზდასა-
თვის აეხადა ნაშუსი. ეს ახლგაზდა გახლდათ

ჩვენი უკვე ცნობილი ბაბოს ამხანაგი, ანეტა
ტურიაშვილის ქალი.

ანეტა თვისი ნებით გაება ივან პეტრო-
ვიჩის მახეში. მისი ღვარძლიანი გული შურით
იყო სავსე, რომ ახალი მასწავლებელი (ეს სა-
ხელწოდება ივან პეტროვიჩს დიდხანს შერჩა)
ბაბოსთან იყო დაახლოებული, მასთან ქონდა
კავშირი, იგი უყვარდა. მას გადაწყვეტილი
ქონდა, რამენაირათ დაერღვია მათ შორის
კავშირი, ბაბო შეეძულებია ივან პეტროვიჩის-
თვის და იმისი ადგილი თვით დაეჭირა. ეს
აზრი განუყრელათ უტრიალებდა მას თავში
და მოხერხებულ დროს ეძებდა, რომ განეხორ-
ცილებია იგი.

ეს დროც მალე დაუდგა მას. იგი ივან
პეტროვიჩთან მსახურებდა ერთ კერ--ქვეშ, მას-
თან ხშირი შეხვედრა ქონდა; მის ლაპარაკში,
სხეულის ყოველივე ნაკვთის მიმოხვრაში,
თვლების ელვარებაში დაუშრეტელი ცეცხლ
გამოკრთოდა, რომელიც მაგრე რიგათ მოაჯი-
დავებს, სწავას—დავას გრძნობით სავსე გულს
ახლგაზდისას.

ესეც რომ არ ყოფილიყო, ანეტა ისედაც
მოიგებდა ივან პეტროვიჩის გულს, ვინაი-
დან იგი „შემთხვევების“ მაძიებელი იყო და
ასე შეენიერ „ჩიტუნისა“, რომელიც თავისით
უვარდებოდა მახეში, ხომ არ გაუშვებდა.

ყოველივე ეს შეუშინეველი რჩებოდა
გულ უბრყვილო ბაბოს. ივან პეტროვიჩი და
ანეტა ზედმიწევნით დახელოვნებული აღმოჩ-
ნენ ამ საქმეში და გარეშე მაყურებელი ძნე-
ლათ—და შეამჩნევდა მათ ურთი—ერთ შორის
განწყობილებას.

მართალია, ბებო უკანასკნელ ხანებში
გულ—გრილობას ამჩნევდა ივან პეტროვიჩს
არა—ერთხელ წაჩხუბებია მას იქვიანობის ნი-
ადაგზე. მარა ვანოს ტკბილი ალერსი, აღ-
გზნებული ამბორი ყოველივე იქვს უფანტავდა
და ჩვეულებრივი სულიერ სიმშვიდეს გვრიდა
მას.

მარა ყოველივე ბედნიერება წუთიერი.
იქვები, რომლის დაჯერება ბაბოს ცოდვით მიაჩ-
და, მიხას სიტყვებში გააღრმავა. იგი სასოწარკვე-

თილებამ შეიპყრო. გონება არეულს დემონური ხმა ყურში ხარხარით ჩაძახოდა.. „ღალატი, ღალატი“!..

— აი, ამნაირათ გადაუხადე მშობლებს ამაგი. ბუტბუტებდა იგი თავისთვის და ცხარე კრემლები ნაკადულივით ჩამოჩქეფავდა მას ვარდლივით აკოკრებულ ღაწვებზე. — მასაც კი... გიგლას, ოხ, ღმერთო, ღმერთო...

გიგლას ხსენებაზე ბაბოს პირისახე მწუხარებით დაემანქებოდა, ლოგინში პირქვე ჩაემხოზოდა და ქვითინს უმატებდა...

ამ მოკლე ხანში ბაბო სრულიათ გამოივცალა: სად არის მისი მუდამ მომღიმარე სახე, მისი დაულაღავი ფუსფუსი და ავთომყოფებთან საამური. მუსაიფი, იგი მთელი სხეულით მოდუნდა, სიცოცხლის ნიშან— წყალი-დაკარგა. მის გონებაში შურის ძიება, სირცხვილი, დაურწმუნებლობა, სიყვარული ერთმანეთს გადაწოდენ, და ისე აეშალა მისთვის დავთარი, რო ვერ გამოერკვია, თუ რა გზას დადგომოდა, რა გადაწყვეტილება მიეღო.

ერთს საღამოს ბაბო საავთმყოფოს ეზოში იჯდა ჩაფიქრებული და უგრძობლათ პატარა ჯოხით სილაზე რაღაც ასოები გამოყავდა. ბუნება დაწყნარებულიყო, თითქოს იმასაც გაეგო ბაბოს გულის წუხილი და ხელს არ უშლიდა ფიქრთა სრბოლაში.

მწვანე ხვერდივით შემოსილი ბუჩქები, რომელნიც საუცხოვო გეგმით იყო დარგული საავთმყოფოს ეზოში, ფარავდა მას ადამიანის დაუდგვარ თვალთაგან.

ის- ის იყო იგი ადგომას აპირებდა წასასვლელათ, რო მას ფეხის ხმა მოესმა და ჩუმმი ლაპარაკმა ოდნავ გაარღვია ბუნების მყუდროება.

ბაბომ ყურები აკვიტა— და ბუჩქებს ისე ამოეფარა, რო ყოვლათ შეუძლებელი იყო მისი დანახვა.

ლაპარაკი თან და თან გარკვევით ისმოდა: ეტყობოდა, მოლაპარაკენი ბაბოსკენ მოდიოდნენ.

ერთ წუთას იგი შეწყდა და მოისმა „სკა-

მეიკის“ კრიკინი; მოსაუბრენი იქ შორი ახლო დასხდნენ.

— არა, ჩემო ტურფავ!.. შენა ცდები!.. მე ბაბო არა დროს არ მყვარებია, — არწმუნებდა მამაკაცის ბოხი ხმა თავის მოსაუბრეს. ვინც მე ერთხელ შემეყვარდება, მას ასე ადვილათ ვერ გადავიყვარებ.

— ასე იცით ყველა მამაკაცებმა!.. — მოყვა მას დედაკაცის ნაზი ხმა.

— მე სხვებში ნუ გამრევ... მე ისეთი კაცი არა ვარ, რომელიც დღეს ასეა და ხვალ ისე.. მე შენ, მხოლოდ შენ მიყვარხარ, ჩემო შვენიერო, და შენს ხელშია, ჩემი ბედი და იღბალი.

— რა ვქნა, რო მატყუილებდე?!.. ბაბო შენ გიყ...

— არა, არა! ამას ნუ ამბობ: სად ბაბო და სად შენ! შენს ერთ ღერ თმაში არ გავცვლი მთელ ბაბოს, მერწმუნე... მერწმუნე, ჩემო ღმერთო!.. — და ამ გრძობიარე სიტყვებს მოყვა გძელი გრძობიარევე კოცნა, რომელიც ტლიაშანით მოეფინა იქაურობას.

— ახლა— კი ბაბომ დაკარგა ყოველივე მოთმინება, ცეცხლივით ანთებული გავარდა ადგილიდან და მოსაუბრეთ თავს წაადგა.

— ოხ, ღმერთო ჩემო!.. ამას რას ვხედავ. ვანო... ანეტასთან.. ისტერიულ ცახცახით დაიღრიალა ბაბომ.

ბაბილინა ქაიხოსროვნა!.. ძალიან უზღველობაა, მედა ჩემმა ღმერთმა, სხვის საუბარზე წაყურება... თუ შეიძლება მიბრძანდეთ...

— ვანო.. შენ, შენ ამბობ ამას... ო, ღმერთო— მიშველეთ... გული... და გრძობა წასული ბაბო მოწყვეტით იქვე ჩაიკეცა...

(შემდეგი იქნება).

გ. ებრაღიძე.

დავაჩქაროთ თეატრის შენობის აგება.

როცა ქართული თეატრის შენობა დაიწვა, ჩვენ იმდენათ დავნაღვლიანდით, ისე

ადვიესენით ბოღმით, რომ უბედურების გამო-
თქმასაც ვერ ვახერხებდით...

დიდი უბედურება მოსდა! ამას გრძნობდენ ყველანი, არამც თუ ჩვენ, ქართველნი, სხვანიც...

მაშინ ჩვენ ყველანი მარტო იმაზე და ფიქრობდით, რომ ახალი თეატრი აგვემენებინა. ვჩქარობდით... რაც შეიძლება, ჩქარა გვსურდა ამ ეროვნულ ქრილობის გამოთვლება, გვსურდა თეატრის ჩქარა აშენება და არა იმიტო, რო გასართობი ადგილი აღარ გვქონდა, არამედ იმიტო, რო ჩვენს ეროვნულ საქმეს მოაკლდა უმძლავრესი ეროვნული ფაქტორი. ვჩქარობდით, გვსურდა.. და ამ დღე-მა სურვილმა კიდევ აგვაშოქმედა. დავაარსეთ კომისია და დავიწყეთ ფულების შეგროვება...

ჩვენდა საუბედუროთ, გაძლიერდა ზარბაზნების გრიალი და ახალმა ცეცხლმა მიაძინა ეს ჩვენი ეროვნული საქმე. მივატოვეთ ფულების მოგროვება და თითქმის აღარავინ ფიქრობს თეატრის შენობაზე, მის აგებაზე...

ზოგიერთი მიეცა ჩვეულებრივ ტკბილს ოცნებას: „დაიცა, ვინმე მილიონს ვადმოგვიგდებს და თეატრი აშენდებაო“. ამ ოცნების სიტკობებამ ბევრი კიდევ დაამშვიდა...

ხოლო ჩვენი სცენა-კი, დაკარგული დაწანწალებს აქა-იქ და განიცდის უკიდურეს გატირვებას...

არტისტს, დრამატურგს, საზოგადოებას თანდათან უგრძობლდებოთ გული და ვეჩვევით საკუთარი სცენის უქონლობას...

დაგვაიწყდა ამ ახლო ხანში მომხდარი სრულიათ საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა; დაგვაიწყდა ამ ყრილობაზე წარმოთქმული გრძნობიერი სიტყვები; დაგვაიწყდა ამ კრებაზე აღნიშნული დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჩვენი სცენისა; დაგვაიწყდა ყველა ის, რამაც თეატრის დაწვის პირველს დღეებში ჩვენ ყველანი აგვატირა...

საბრალო ქართულო სცენავ!

განა, თუ ის ბედნიერი დღეები, ის დიდი სურვილები ჩვენი სცენის გაუმჯობესე-

ბისა, ეს მზადება და ფიქრები სცენის გაღონიერებასა და გაძლიერებაზე, განა ყველა ეს უბინადრობას, სხვის ქერ ქვეშ შეფარებას და აქა იქ წანწალებს უქალოდა ქართულ სცენას!?

განა მთელს ჩვენს ერს ვერ შეუძლია, რაც უნდა გაქირვებაში ვიყოთ, ერთი თეატრის აშენება?! განა სამ მილიონ ხალხს ვერ შეუძლია რაღაც ნახევარ მილიონის მოგროვება?!...

მარა არა... ცხადია, ყველა ეს ვითომ და ჩვენი სიბეჩავე და უძლიურობა ელანდება ჩვენს დაავითყოფებულს დაჩაგრულს, ბევრჯელ და ბევრში იმედგაცრუებულს გულს...

ჩვენა გვეჯერა და გვეწამს, რომ არ მოგტყუვდებით და ქართველი ერ ადვილათ და ჩქარა აასრულებს ამ თავის გადაწყვეტილებას! ადვილათ აუგებს ამ ჩვენს ეროვნულ ფაქტორს, ჩვენს სცენას, შესაფერ ტაძარს...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რო ყოველი ქართველი, ვინც გინდა იყოს იგი: მდიდარი, თუ ღარიბი, თავადი, თუ გლეხი, ნასწავლი, თუ უსწავლელი, ყველა გამოიღებს ამ დიად მნიშვნელოვან საქმისთვის თავის წვლილს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ორსამ წელში ისევ გაჩაღდება ის მნათობი, რომლის სხივებმა გაანათა მთელს საქართველოში და აამოქმედა ჩვენი ეროვნული გრძნობა! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რო ჩქარა ისევ დაიწყებს მოქმედებას ის ტაძარი, სადაც ქართველები მოიკრიფებოდნენ ხოლმე „სამშობლოს“ ნახვით სამშობლოსთვის თავდადების სიღნიადის და „ღალატის“ შეგნებით **სამშობლოსადმი ღალატის** განკიცხვის შესასწავლათ და შესათვისებლათ.

ხოლო, როგორც ყოველს საზოგადო საქმეს, თეატრის აშენებისთვის ფულის შეგროვებასაც მოწყობა, ორგანიზაცია უნდა.

ამის გამო, მიემართავთ ყოველს ჩვენს დაბა-ქალაქსა და დიდ სოფლებს თხოვნით, რაც შეიძლება, მალე დაარსონ ყოველ პატარა ცენტრში კომიტეტი, რომელიც იკისრებს ფულების მოგროვებას.

ამ პატარა კონიტეტებში საკმარისია სამი

სანდო პირის არჩევა. ამ სამმა არჩეულმა პირმა უნდა აცნობოს ჩვენს დრამატულ საზოგადოების გამგეობის თავჯდომარეს (თფილისი. „სახალხო-ფურცლის“ რედაქცია. ი. გედევანიშვილს), რომ ისინი არიან არჩეულნი ხსენებულ ადგილას კომიტეტში.

როცა მთელი საქართველო მოიფინება ამ გვარ კომიტეტებით, მაშინ თფილისის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უკვე არსებობს, შეატყობინებს მათ, როგორ უნდა მოიქცენ ფულის შეგროვებაში და; ამგვარათ, გახორციელდება ჩვენი სურვილი, რომ მთელს საქართველოში მოიკრიფოს თეატრის შენობისთვის თანხა.

ზოგიერთმა განიზრახა ფულების მოსაკრებლათ განსაკუთრებულ მარკების გამოცემა. თუ მთავრობის მხრივ ამ საქმემ დაბრკოლება არ ნახა, მისი გახორციელება ძალიან შეუწყობს ხელს კომიტეტებს ფულების შეგროვებაში.

დასასრულ ვისურვებთ, რომ ჩვენი წინადადების დიდი მნიშვნელობა შეიგნონ კარგათ ყველგან, ჩვენი სამშობლოს—საქართველოს პატარა ცენტრებში და მხურვალეთ მოკიღონ ხელი აღნიშნულ წინადადების გახორციელებას.

გ. გრძელიშვილი.

საღაყებო წერილები.

15, VII, 1915.

წინა წერილში გაკვრით ვამბობდით თუ, რამდენად გაადვილებულა ჩვენში სახელის შოვნა, მწერლის იქმნება, მუსიკოსის, მსახიობის, თუ სხვა რამ მოღვაწისა. წაბაძვა უცხოეთის ფორუმებისა, ისე ძლიერი არასოდეს ყოფილა ჩვენში, როგორც დღეს. ზოგჯერ ავტორი ქმნილებს, რომელსაც არც გული აქვს, არც ენა, იმდენად ბედნიერია, რომ აღარ ჰკადრულობს თავისი ნაცოდვილები ნაწარმოების ბოლოს სახელი და გვარი ამოაწყობინოს მესტამბეს და ფაქსიმილეს მიაკრავს, თითქოს დიდ-

ბული ხელოვანი იყვეს, რომლის ხელის ნახვაც მართლა სასურველი გამხდარა, როგორც კეთილმეტყველის და მაღალ გონიერის შემოქმედისა.

ქართული ხალხი რომ დიდი მუსიკოსია, არა ერთს უთქვამს. მისი მუსიკა რომ ისეთი ღირსების არის, როგორც ევროპაში დიდ მესტროთა ნახელოვნები ქმნილება, ე. ი., პოლიფონიით და კონტრაპუნქტით შემკული, ესეც უთქვამს. ჩვენც გვიგრძნია მისი სიტკბოება. მაგრამ, თუ ქართველ ხალხში კომპოზიტორი ისევე, როგორც მელექსე, გამეფებული იქნებოდა, მე არ მეგონა. თუ არ გვერათ, გადაათვალიერეთ ქართული და ქართველთა ჟურნალ-გაზეთობა და დაპრეზენტაციებით. ვინ არ გინდა, კომპოზიტორი არ უყვეს. მალე, მეგონია, ჰახირაც მოჰნათლონ კომპოზიტორად ჩვენმა რეცენზენტებმა! ჩემს ექვს, რა საკვირველია, ისინი უფრო მიჰხვებიან, ვინც დაუმსახურებელივ ატარებენ კომპოზიტორის სახელსა.

ქართველი მსახიობი დიდის თავმოწონებით ირქმევს მსახიობის სახელსა, ზოგიერთს თავი მოქვს ზედმეტად კიდევ რეჟისორობით. მაგრამ, რაც თავს უღვია მსახიობს, მისი განსახვის ნიჭი რომ ჰქონდეს იმდენს მაინც, რამდენიც ანუ სულია რეცენზენტში, დიდად საეჭვოა. ქართული რეჟისურა ხომ მას აქეთ, რაც ზოგიერთმა არტისტმა, თუ არ არტისტმა დაიწყეს მოსკოვის ნახელოვნები თეატრის და მისი კურსების მოვლა-მოლოცვა, სულ გადაგვარდა. ვითომც ისწრაფის გარეგნად თავი გაიუმჯობესოს, მაგრამ სული ამოჰხდომია. სწორეთ მას აქეთ გაჰქრა ქართულ სცენაზე ქართული სიცილი, ქართული გულის წყრომა, ქართული თავის დაქერა, ქართული მიხვრა-მოხვრა და სხვა და სხვა მრავალი წვრილმანი სულის და ხორცის მოძრაობა, რაიც შეიქმს ქართველი კაცის ინდივიდუალობასა. სწორედ მას აქეთ დაეკარგა ქართულს ენას ქართულ სცენაზე წოდებრივი ბრუნვა! ქართული სინამდვილე ქართულ სცენაზე ვეღარ განსახიერებულა! ბევრჯერ წარმოუდგენიათ ქართული პიესა. მაგრამ ქართული სინამდვი-

ლე არ ნახულა არც მიზანსცენით, არც სიტყვა პასუხით. გულგრილად ვერ დაუგდია ყური მიხვედრილ კაცს ზოგიერთი ნიჭიერი არტისტისთვის, რომელიც ბარბაროსულის დიქცია—ინტონაციით თამაშობს არა თუ უცხოეთის თარგმნელ, არამედ წმინდა ქართულ პიესებსაც. პიესის ენის სიკეთე სადღაა? ჩიქორთულ პიესას მეტი გასავალი აქვს, ვიდრე დარბაისრულის ენით დაწერილსა. ასეთი ბედი ეწია თარგმნილი პიესის ლალატის პირველ წარმოდგენას! მაგრამ თვით საისტორიო პიესის წარმოდგენა ნამდვილი ტრაგიკომედია გამხდარა! ქართველი მეფე, თუ მხედარი საბრალო ქულაჯას და ჩერქეზულ ჩოხას ვერ ვასცილებთ. მაშინაც კი, როცა პიესა ზღაპარია. ძველი ქართული მხატვრობა, რომელიც ფრესკებზე და რეზნოებზე მონასტრების კედლებზე, მეტად მდიდარია თავისი შინაარსითა. ხშირად იპოვის კაცი საერო შინაარსის ფრესკებსაც, რაიც ჰმოწმობს ხელოვნების დიდ თავისუფლებას. თვით დედა ეკლესია, დიდი მცხეთის სვეტი ცხოველიც კი არ დაპრიდება და დაუცავს ჩვენთვის XIV საუკუნის მაცეკვარი ქართველი ქალების ჯგუფები. ნუ თუ რეჟისორმა არ უნდა გამოიყენოს ასეთი მდიდარი მასალა მისთვის თუ, ვინ როგორ მოპრთოს. საოცრებას აღემატებოდა პირველი ქართული ოპერის წარმოდგენაზე აბესალომის ჩერქეზად და ეთერის რუსის გოგოდ მორთვა!

სასცენო ხელოვნებას ერთგვარი განვითარება მიეცა სხვა და სხვა დილა-სალამოების მართვითა. ერთგვარი ასპარეზობა გასჩნდა, სადაც შარჟი, დეკლამაცია, მჭერმეტყველება, თუ სხვა რამ ატრიბუტი ამ გვარი გასართობისა მრავალთ მრავალი მოგვეძღვნის ხოლმე. მაგრამ იმდენი მჭერმეტყველი და დეკლამატორი რომ გვეყვანდეს მართლა, რამდენიც სცენაზე მოგვევლინება ხოლმე, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვებს. ამ მოასპარეზებებს განახსიათებს მხოლოდ გაბედულობის ნიჭი. მაგრამ თვით ნიჭი რომ უფროს ერთ შემთხვევაში

სრულიად არ მოეპოვებოთ, ისიც აშკარაა. მაგრამ ერთი დარგი მოღვაწეობისა, არტისტის პროფესია დიდი ყურადღების ღირსი შექმნილა. ნიადაგი თავიდანვე უმზადდება არტისტსა. ქვეყანას მიერთმევა გაქეთის ფურცლებზე აღბეჭდილი მისი სურათი ყოველთვის, როცა ახალ გარემოებაში ამოჰყოფს თავსა, მაგ. როცა პირველად სცენაზე გამოდის დედაქალაქში, მერმე პროვინციაში გადადის, ისევე გადადის; როცა რეჟისორად ეკურთხება მოსკოვ მოვლილ მოლოცვილი და გამოდის დედა ქალაქში დასის მწვრთნელად, მერმე პროვინციაში გადადის, მერმე კვლავ დაუბრუნდება დედა ქალაქს, ან გაჰმართავს საარტისტო ტურნეს; როცა აღენიშნება ამაზე გაზეთებში ხუთის, ათის, ოცის და მეტი წლის, ხოლო დაბოლოს უკვე დამსახურებული არტისტის და იუბილარის მოღვაწეობა.

რა დააშავეს იმავ დროს მჭერმეტყველმა და დეკლამატორმა, რომ მათი მოღვაწეობა არად ჩავდებულა? განა ნაკლები ტაში და ვაშა ჰრგებიან იმავ პარტერისა და ქანდარასაგან, ვიდრე ბედნიერ მსახიობსა?

ეხლა ავიღოთ სხვა დარგი ჩვენი ცხოვრებისა. აქაც ყველაფერი მოგვეპოვება, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება ევროპულს არ ჩამოჰრჩეს. ქართველი ბურჟუები, კაპიტალისტები და აგარარები, რამდენიც გნებავს, იმდენია ღვთივ ცხონებულ საქართველოში. მათი მძლავრობისგან საქმე გასჭირდება ქართველ პროლეტარობას, რომელიც აგრეთვე რიცხვ მრავალია და ჩვენი ქალაქების ვიწრო, ნესტიან და უმხეთურ ქუჩებში მცხოვრებო სული და გული მოსწამლიათ ქარხნების და ფაბრიკების კვამლიანი ჰაერითა. გაჩაღებული კლასთა ბრძოლა, რომელთა შორის ერთია ჩაგრული, ხოლო მეორე მჩაგვრელი.

ასეთი ცხოვრების დასახსიათებლად შემოგვიღია ევროპული ტერმილოგია—სიტყვები, რომელსაც დაბოლოებადა აქვსთ იზმი ისტი, კრატი და სხვა ამ გვარები და გაგვიჩენია დასები. რა იქნება ისეთი მოძღვრება

ვერობაში, რომ რუსეთის გზით ჩვენშიაც არ შემოდოდეს და წარმომადგენლები არ ჰყავდეს ამათ კიდევ მოთავენი, რომელიც ითვლებიან აგრეთვე დასების და მათი სამწერლო ორგანოების სულის ჩამდგმელად. ამ ყამად მწერალი ხომ ბევრია, მაგრამ გაზეთიც ბევრია. არასოდეს ქართველი, ქართულის უცოდინაროც — კი, ისე არ ყოფილა წერის გუნებაზე, როგორც ეხლა. ქართულმა ლექსმა ხომ წაგვლეჯა და წაგვლამა, როგორც წლიევანდელმა წყალდიდობამ ჩვენი, ტურფა, მაგრამ არა პატარა საქართველო.

ვერობელი განათლებული ტურისტები რომ მოვიდეს ჩვენ ქვეყანაში, გაეცნოს ჩვენი ცხოვრების ავ კარგს, მისი მიხედვით, რაც გარეგნად განახასიათებს, გაოცდება, ჩვენი ხალხის დაწინაურება სასწაულებრივ ამბად მოეჩვენება. თუ ასეთი ტურისტი, ჩვენი მეგობარი იქნა, ხომ კარგი, გულით გაუხარდება ჩვენი წარმატება, ხოლო, თუ მტერი გამოდგა, თვალი მიინც დაუდგება. აი, აქ გამოხსნდება მაშინ ჩვენი გვარტომობრივი ხასიათის მოქაღულოება, თვალი დაუყენო მტერსაო. მაგრამ, თუ ჩვენვე თვალი დავდგომოი და ცხოვრების სინამდვილეს ვეღარა ვსჭვრეტთ, არ გვგონია. ჩვენზე უფრო გამჭირახი და ცხოვრების ალღოს ამრთმევი სხვა არავინ გვეგულება. გულს აღარაფერი გვაკლია, რაც თავისუფალ ქვეყნებს განახასიათებს, ყველაფერი შემოგვიღია. ჩვენი ქვეყნის ბედის აღარ გვედარდება, ჩვენი თავი ბედნიერი გვგონია, იმავ დროს კი ჰაერში ვკიდივართ, ფეხ ქვეშ ნიდავ გამოცლილნი. სანეტარო ილუზია ეხლახან და-

გვირდვია ახალმა კანონმა, რომლის ძალითაც კერძო სკოლებში, რუსეთის მწერლობის, გეოგრაფიის და ისტორიის გარდა, რომელიც უთუოდ რუსულათ უნდა ისწავლებოდეს და დანარჩენი საგნები შეეძლება მოწაფეებმა ისწავლონ სამშობლო ენითაც. მივიხედ მოვიხედეთ ას თოთხმეტი წლის განმავლობაში, თურმე, პოი მამულო ღალადის და, ჩხირკედელაობის მეტრ არაფერი გვიკეთებია საკულტურო საქმისათვის. ვანა ქართველი, ამ შემთხვევაში, არ მოგვაგონებს დედალსა, რომელიც ბუდეს ძებნას მაშინ დაუწყებს, როცა კვერცი მოადგება? ვისაც ქვეყნის მოჭირახულედ მოჰქონდათ თავი, რა იქნებოდა, იმ ნასწავლ-კაცობას რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნი გამოეცა ქართულად? რამდენ საზოგადოებრივ, თუ საქალაქოებრივ მოძღვრებას აღვიარებთ, და, აბა, თუ მოგვებოება ამნაირი სწავლის რომელიმე ავტორატეტიანი მოძღვარი ქართულათ გამოცემული? ეს რაა? ქრისტიანობა რომ ახლად შემოსასვლელი იყვეს და მის მისაღებადაც მზად ვიყენეთ, მივიღებდით დიდათ მოსწრაფენი, შეიძლებოდა თავიც დავგედო მისი წარმატებისთვის სიტყვით, თუ საქმით. მაგრამ სახარება, საფუძლები მოძღვრებისა, უთარგმნელი დავგვრებოდა, ვერ გამოვიჩენდით იმდენ მოხერხებას, რომ მორწმუნენი გვეზიარებინა ნამდვილ წყაროსთვის. რათა? იმათა, რომ აწოდენ ქართველობას გვაკლია შინაგან კულტურისობის ნიჭი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მტერს თვალი დაუყენოთ... გარეგნობითა.

პეტრე მირიანიშვილი.

ტ ა ლ ღ ა თ კ ო ც ნ ა.

სულის ქვითინზე, ღამის წყვიდალში,
 კვლავ შამომესმა ჰანგი გზნებარი;
 ფიქრთა სრბოლის დროს, ტალღათ ლივლივში
 კვლავათ შევნიშნე შენება მტკბარი...

და, არ ვიცოდი, სევდის ბაღაში,
 რას ლოცვილობდენ ღამის ყვავილნი.

ხშირათ მესმოდა ფოთოლთ ჩურჩული,
გულს შვებას ფენდა იმედის ჰიმინი...

დღე დღეს მისდევდა, შავი ყვავილი
კვლავათ ყვაოდა ღამის ცრემლებზე,
ქვეყნის ვაება, ფიქრი უებრო,
გრძნობათ დნებოდა ცისკრის ციმციმზე.

სად ცრემლი ჩქეფდა, იქ ღიმიც იყო;
სად ქვეყნის სევდა ილესებოდა,
მომავლის ჰანგი, იმედებრ მჩქეფრი;
მაშრალთა მკერდზე ყოფნა დნებოდა!...

არვინ იცოდა, სად ჩქეფდა ტრფობა,
სად იყო მხარე იმედებისა,
მხოლოთ მგოსანმა, რიყრაყის მწუხრმა,
იცოდა თრთოლვა განთიადისა!..

ქ. კივი

ს. ტაიფუნი.

ს ა დ გ ე ი ს ო .

მ რ ო ზ ი ს შ მ ს ა ხ მ ზ .

გადაიკითხეთ გაზეთის მეოთხე გვერდები, გაეცანით სოფლის ცხოვრებას, დაუკვირდით მის ღღინღღელ მდგომარეობას, მის გაჭირვებას და თქვენთვის ცხადი ვახდება, რო სოფელი დაღრმათისკენ არის დაქანებული. ერთ დროული მთავრობის დახმარება, სასურსათო თანხები და, ან გაჭირვებულ ხალხის სასარგებლოთ ფულების შეკრება, ხალხის გაჭირვებას ვერაფერს უშველის სრულებით. ყოველივე ეს პალიატიური ზომებია და შეუძლია მხოლოთ ხალხის გაჭირვებული მდგომარეობის ოდნავი შესუბუქება, ისიც დროებით.

სოფლის ცხოვრების რომელი მხარე უნდა აიღო და შეეხათ მას, შეუძლებელია აქ ერობის საჭიროება ყოველ ნაბიჯზე თვალ წინ არ აგეტუზოთ. ხალხის გაჭირვებასა და უნუგეშო მდგომარეობასთან მკიდროთ დაკავშირებულია ერობის საჭიროების საკითხი. სოფლის ცხოვრების გავითარებას, ისეარაფერი არ უ-

შლის ხელს, როგორც უერობა და სოფელს ისე არაფერი არ ესაჭიროება, როგორც ერობა. მართველობის ძველი ინსტიტუტი, შემოღებული ჩვენში ამ 50 - 55 წლის წინათ, სრულიათ ნოღველდა და ის დღეს, ღღინღღელ გართულებულ ცხოვრებასთან ბძოლაში, უძღურია. ცხოვრება წინ წაიწია, ცხოვრება გავითარდა, გართულდა და ყველგან გოლიათური ნაბიჯები იქნა გადადგმული ამ გართულებულ ცხოვრების ანგარიშების გასაწევათ. ჩვენში-კი არავის ცხელა იმისთვის, რო დროს აღლო აართვას და ჩვენ ისევ და ისევ ძველი „პრმარლით“ გვიმასპინძლებიან.

სოფელში ვცხოვრობ, ხშირათ მაქვს შემთხვევა სოფლის საქმეების გაცნობისა და, ამ გაცნობის შემდეგ, ყოველთვის ერთ და იმავე დასკვნამდი მიესულვარ, იმ დასკვნამდი, სახელდობრ, რო ყოველგვარი ღონისძიების მიღება ჩვენი სოფლის გამოსაბრუნებლათ, ფუქათ თუ მას ერობა არ ელირსა, და ისე დაღმართისკენ დაქანებული ჩვენი ხალხი აღმართისკენ ვერ ამოიხედავს. ეს გაიგონ იქ, სადაც საჭიროა...

დღეს საღმრთო სიკეთისათვის, განურჩევლათ მიმართულებისა, ყველამ ერობა უნდა გაიხადოს. არც ერთი კრება ჩვენში, ისე არ უნდა მოხდეს, რომ ერობის საკითხი არ აღიძრას. უმაღლესი მთავრობის წინაშე ერობის გამოსახულებით აღძრული შუადგომლობა არ უნდა დაევიწყოს. უნდა გაიმართოს ამ საქმეზე მასობრივი ხელის მოწერა და სათანადო მთავრობის შესაფერისი პეტიცია წარედგინოს. უნდა გავაგებოთ ყველას, რომ ერობის თხოვლობის მთელი ქართველი ხალხი, ქართველი ერი და არა ერთი და ორი პაროქია. ამ ერობის საკითხში იმ გვარათ და იმ მხრით უნდა გამოვიდეთ, რომ ძალა უნებურათ სფეროებში და სხვაგანაც ანგარიში გავიწიონ. დღეს, როდესაც სოფლის ცხოვრება ირღვევა, მეოჯახობა იშლება და სოფლის ცხოვრების პატარა კულტურა სრულიად ნადგურდება, შეუძლებელია, შეუძლებელია დუმილი და გულხელდაკრეული ცქერა ამ სამწუხარო მოვლინებაზე.

მაკვირვებს ის გარემოება, რომ ხალხის საუკეთესო მოამბეები, მისი ინტერესების მედგარი დამცველები და მისი გულის შესაიდუმლონი და მისთვის თავდადებულნი, რისთვის სდუმან ამ დროს და რისთვის ხმას არ იღებენ? განა დღეინდელი მომენტი დუმილის უფლებას აძლევს ვინმეს და განა ყველაზე უმაღლეს ხალხის ქეშმარიტმა გულშემატკივარმა არ უნდა ამოიღოს ხმა, როცა ამ ხალხს განსაკუთრებული კარს ადგია და მაშინდღმა მომენტმა ყოფნა არ ყოფნის საკითხი დაუსვა. ამ დროს ავტორიტეტის ხმა, ამ დროს გაბედული და თამამი სიტყვა ძვირფასია ხალხისთვის და იმ საქმისთვისაც, რა საქმეზედაც იქმნება ეს სიტყვა.

უთხრან ხალხს, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მან დღეს, უჩვენონ გზა ამ გაჭირვებისგან თავდასახსნელად და ხალხთან ერთად არა ცალიერ სიტყვით, არამედ საქმით უნდა შეებძოლონ დიად გაჭირვებას. მონურათ და სასიკეთოთნუ წაიხრია თავს, ნუ დავემორჩილებით უწყალო ბედს, და, თუ სასიკეთლო ვართ, ხმა ამოვიღოთ და ისე მაინც მოვკდეთ...

მთელი ორმოცი წელიწადია ვმათხოვრობთ, მიიღეთ მოწყალება, გვიბოძეთ ერობა-თქვა. ვმათხოვრობთ, ამ მათხოვრობისგან არაფერი არ გამოვიდა. რასაკირობა მათხოვრობა იქ, სადაც

წინასწარ ვიცით, მათხოვრობით არაფერი არ გამოვა. სათხოვარი და საგლახაკო, რა გვაქვს? ერობა გვეპირდება, გვინდა. უმისობით სული გვხდება და ვაღივლებული არიან განახორციელონ მათ, რომლებსაც ჩვენი ბედის საქმეხელთ უბყრია. ცხოვრების მწარე მაგალითები გამოვიყენოთ და ერობის საკითხზე სულ სხვა კილოთი ვილაპარაკოთ. არავისთვის არა დროს არაფერი გვიწყენინებია, ერთგულათ ვემსახურებოდით, მათსამსახურში სული გვხდება და, ხომ ჩედავთ კიდევ, ჩვენთვის ისეთი მცირე რამესაც არ იმეტებენ, როგორც არის, ერობა. სამაგიეროთ, სხვებს—კი გაკეთებასაც პირდებიან...

ერთი პატარა ამბავი ვიცი და, შეიძლება, გამოსადეგი შეიქნეს ამ საქმისთვის. განსვენებული ვარლამ გელოვანი ხალხის გულში ჩახედული იყო და კარგათ იცოდა, თუ რა ეჭვრებოდა ჩვენს ქვეყანას და ან, რის გაკეთება იყო შესაძლებელი ჩვენი ქვეყნისთვის დღეში. მან ჩვენი ქვეყნის გაჭირვებას აღლო აართვა, შეუფარდა ის შესაძლებლობას და მიზნათ დაისახა თვისი სამშობლოსთვის მოვრება ერობა და ნაფიც ვეჟილთა სამსახულო. კარგათ არ მახსოვს, 1913 იყო, თუ 1914 წელს ზაფხულში ვ. გელოვანი ქუთაისს გვეწვია და ჩვენც, მისი ამხანაგები შევიკრიბეთ და, ვახოვეთ, გაცნო ჩვენთვის მისი დღეში მოღვაწეობა. აქ გელოვანმა, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ორიპროექტი მაქვს დღეში შეტანილი ჩვენი ქვეყნის შესახებ და, დიდი იმედი მაქვს, დღეში რომ ორივეს გავიტან კიდევო. ბევრი არა შემარცხნევ პირდება ამ საქმეში ხმას და, თუ არ მოვტყუვდა, მაშინ ჩვენს ქვეყანას ელოცება ერობა და ნაფიც ვეჟილთა სამსახულო—არ ვიცი კარგათ, ეს პროექტები შემუშავებული ქონდა მას, თუმის შემუშავებას აწი ვპირებოდა. მე მგონია, შემუშავებული უნდა ქონოდა, ვინაიდან ამბობდა, დღეში ამ მოკლე ხანში შევიტან ამ პროექტებსო.

დღეს, როდესაც ვარლამ გელოვანი რუსეთის საერთო საქმეს ვსხვერპლა და, როდესაც ქვეყანამ დაინახა გელოვანის ერთგულება, თავის დადება და გმირობა რუსთა სასარგებლოთ, მე მგონია, მის პროექტს ოფიციალური და არა ოფიციალური რუსეთიც ანგარიშს გაუწევს და მის აზრს შესაფერაათაც გამოეხმაურებიან. ეს ასედაც რომ არ მოხდეს, პროექტი თუ კი შემუშავებულია, ჩვენთვის ძვირფასია უფრო

სხვა მხრითაც. პროექტის ბედი ყველაზე უკეთ შრომის ჯგუფს ეკოდინება და მისი ამბავიც იქიდან ვაფიგოთ.

გ. ხონელი.

ზიბლიოგრაფია.*)

ქართული კლასიკური ლიტერატურის ზედმიწევნითმცოდნეს, ჩვენს თანამშრომელ ბატ. პეტრე მირიანაშვილს „ვეფხისტყაოსანი“ ხუთ სურათად შოთა რუსთველ — ოქროპირ ბატონიშვილისებურათ გამოკრეფილ — დაწყო-ბილი ახლახან თფილისში გამოუცია.

ასეთი წიგნი, როგორც მახსოვს, პირველათ უნდა გამოდიოდეს ქართული მწიგნობრობის ბაზარზე და, იმედია, იგი მიიქცევეს სერიოზული მკითხველის საყურათლებას.

წინასიტყვაობაში პატივცემული გამოცემელი წერს, რომ ჩვენი ეროვნების გენიოსის ნაწარმოებები ოქროპირ ბატონიშვილმა გადმოაკეთა რუსთველისებურათ ხუთ მოქმედებიან ტრაგედიათ. ამ ტრაგედიის წარმოდგენა ჩვენ თანაშემწეობა სცენაზე ყოველათ შეუძლებელია, რადგან როლები იქ ძალზე გაჭიანურებულია.

აქვე ბატონი პეტრე აღნიშნავს ამ ტრაგედიის ნაკლსაც: ეს ნაკლი ისაა, რომ ოქროპირის ტრაგედიაში ნესტან დარეჯანის და ტარიელის მიჯნურობა მოთხრობილია, რაც დრამაში შესაწარმებელი არ არის.

გამომცემელს როლები შეუმოკლებია ისე, რომ დედა აზრის გავითარება სრულებით დაბრკოლებული არ არის. ამიტომ იგი ხალხისათაუ იკითხება და ადვილათ დასასწავლიც არის. ტარიელის მიჯნურობის ამბავი სრულიათ გაუუქმებია გამომცემელს და, იმის შიგვიერ, შეუტანია ამ გამოცემაში ახალი დრამატული სცენა ამავე მიჯნურობის და ვეფხისტყაოსნურათ ლამაზათ გადაუკეთებია. ეს სცენა მას პირველ სურათად მოუთავსებია, რადგან ტარიელის გაჭრა უწინ, ხოლო მისი ნახვა როსტეფანეფის კმათავან, მას უკან მოხდა.

*) ამ ნუმრისთვის დამზადებული კრიტიკა, უადგილობის გამო, ვერ ისტამბება.

შოთა რუსთველის ნაწარმოები ქართლოსიანთა ერის გრძნობა — გონების და მორალის ერთი უღიადესი, შესანიშნავი ნამოქმედარია და მისი ოქროპირ ბატონიშვილისებურათ გამოცემა ისე, როგორც მოთრობათ ვადმოკეთებული ბატ. გიორგი იოსელიანისგან ოცი წლის წინათ, სასიხარულო და სასიამოვნოა ჩვენთვის.

ეს ტრაგედია დაწერილია მდიდარი, ტკბილი, სუბუქი ქართული ენით, რომლის სიტურფეს იგრძნობს მკითხველი, როცა ამ წიგნს შეიძენს და ვაეცნობა.

ვისაც უნდა ქართველებს აწუხე ცხოვრობის გათვალისწინება, მან, მიუცილებლათ, უნდა შეისწავლოს ჩვენი წარსულიც. მთელი სულიერად და საზოგადობრივი ცხოვრება მრავალ ტანჯულ ერისა ვქელის მანძილით; წითელის ზოლით გადაბმულია ისეთი კოლოსის ნაწარმოებთან, როგორც რუსთველი. და ამ დიადი კაცის ინდივიდუალური შემოქმედობა ყოველთვის და ყოველგან, ქირსა და ლხინში, დაატკობს ქართველი კაცის ნერვებს და გულს.

წიგნი ლამაზათ არის გამოცემული, 62 გვერდიანია და ღირს ექვსი შაური, რაც ამ ქალაქის სიძვირის ეამს, ძალიან იაფია.

შვილის საუბარი მამასთან.

(გუძღვნი ქიათურის მემამულეებს.)

შვილი: მამა მითხარი, თუ რატო დარქმევია ამ ჩვენ დაბას „ქიათურა“.

მამა: — ყური დამიგდე, შვილო და მოგიყვები. უხსოვარ დროში ქიათურა ერთი უბრალო ტყით შემოსილი ხეობა ყოფილა მდ. ყვირილაზე, სადაც, თურმე, ადამიანს ვავლაც — კი არ შეეძლო ამ ადგილზე. როგორც ვადმოკემა მოგვითხრობს, ამ უდაბურ ტყეში ორი ყრუ მთიელი მონადირე ნადირს ჩამოყლია დასაქერათ. გამოქცეულმა ნადირმა ც თავის საშველებლათ ამ დაბურულ ტყეს მიმართა. იმ დროს მონა-

ღირებებს მდ. ყვირილის ხმა შემოესმათ. მისულან მდინარის პირზე, სადაც ერთგვარი წყრილი ლიფსიტა თევზი დაუნახავთ, რომელსაც ძაღლარტას, ან გველანას ეძახიან. ეს თევზი წყრილია და მოგძო ჭიას უფრო გავს, ვიდრე თევზს. ერთი მონადირე მეორეს შეკითხვით: ძმობილო, ეს ჭიას, თუ რა?“

იმ დროიდან—კი „ჭიათურა“ დარქმევია. შემდეგ, თან და თან გაქრეს ის უდაბური ტყე და ზედ კახეთიდან ჩამოსული ვაშაძეები დასახლებულან, რომელიც ამ ჭიათურის ძირითად მკვიდრ მცხოვრებლებათაც ითვლებიან. ამ ვაშაძეებს შემდეგში სხვა გვარებიც შემომატებიან და ეს უდაბური ტყე მოუსპიათ ამ 36 წლის წინათ, 1879 წლამდე. ჭიათურა ერთ პატარა სოფელათ ითვლებოდა, სადაც ოციოდე მკვიდრი მცხოვრებნი ვაშაძეები და ლეყავები ესახლენ და იმ დროს აქ ერთი პატარა დუქანი ედგა ორ მკვიდრ მცხოვრებს—საჩინო ვაშაძეს და სოგრატი ლეყავას. ეს პირები ორივე ცოცხლები არიან დღესაც და ღრმად მოხუცებული.

თუმცა მათ მედგარი მხნეობა და ვაშაკატური გული დღემდე შერჩენიან. 1879 წელში შავი ქვის მადნები აღმოაჩინეს ჭიათურასა და მის გარშემო სოფლებში, სადაც ამ მადნის დამუშავება დამრეწველობა გაიმართა. ერთი დუქანის მაგიერათ, ორასი სხვა სავაჭრო დუქანი გაიმართა და ოციოდე მკვიდრი მცხოვრებლების ადგილზე, ორას—სამასამდე მცხოვრებნი შეიქნენ. შავი ქვის მრეწველებს და მომუშავე ხალხს ხო სათვალავი არა აქვთ, იმდენი არიან. ამნაირათ, ის ჩვენი ძველებური პატარა ჭიათურა დღეს დიდ, ვეებერთელა დაბა ჭიათურათ გადაკეთდა, რომელმაც თვისი მდიდარი მადნებით მთელი განათლებული ევროპის სახელმწიფოების ყურათღება სამარ-

თლიანათ მიიპყრო და მთელი დასავლეთ საქართველოს—ქუთაისის გუბერნიას არჩენს და ასაზრდოებს.—ასაზრდოებს მითი მხოლოთ, რომ მუშა ხალხი სამუშევარს შოულობს.

შვილი: მამა ჩემო! თავდა პირველათ, ვინ მოიგონა და ვინ ამოაჩინა ეს შავი ქვის მადნები?

მამა: თავდა პირველათ თავადმა აკაკი როსტომისძე წერეთელმა აღმოაჩინა, შვილო. იმან გამოიკვლია ამ შავი ქვის მდიდარი ღირსება, მანვე უჩვენა მინუში საზღვარ—გარეთელ ვაჭრებსაც, მოუპოვა ბაზარი. საზღვარგარეთლებმა—კი 1879—1880 წლებში იყიდეს შავი ქვის მამულები და კიდევ იმავე წლებში შეუდგენ დამუშავებასაც.

შვილი: რომელ აკაკი წერეთელზე ამბობთ, მამა ჩემო. ეს ჩვენი სახელოვანი საქართველოს დიადი მგოსანი აკაკი ხომ არაა, რომელიც ამ წლის 26 იანვარს გარდაიცვალა და რომლის სიკვდილმაც მთელი საქართველო ერთბაშათ შეანძრია და ქართველები ცოცხალს და მკვდარს აკაკის თანაბრათ იხსენიებენ, „უკვდავს“ ეძახიან და მის ხსოვნას და მაღალ ნიქს ყველა ქართველი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი თაყვანსა ვცემთ?!“

მამა: — ხო, შვილო, სწორეთ ამ დიდებულ აკაკიზე გეუბნები, რომელსაც დიდ მგოსანს ეძახიან, რომლის სასიძღვრო ტკბილი ლექსები და მოთხრობანი სულსა და გულს გვიტკბობს და სამშობლოს სიყვარულს გვიღვიძებს გულში ყოველ ქართველს. მისი დიდათ ნიჭიერი ლექსები, შვილო, მთელ საქართველოში და რუსეთშიც—კი არა მარტო, მთელ ევროპაში და ღუნაიაზღდაც არიან მოფენილი და გავრცელებული. **ბესარინ ჭიათურელი.**

(შემდეგი იქნება).

სამშობლო ქვეყანა.*)

*) ეს ჩინებული სტატია, პატარავერუდი ჯეტონის ნებარდით, ისტამბულა დღეს „განთავადია“.

ზემო ქართლი.

ჩვენი სამშობლო ქვეყანა გეოგრაფიულათ იყოთა სამ დიდ ნაწილათ. პირველია **აღმოსავლეთი საქართველო**, ან ამერეთი, ქვემო ქართლი. კავკასიონის ქედის ტოტი, ლიხის მთა, ყოფს ქვემო ქართლს იმერეთისგან. მეორე დიდი ნაწილი ჩვენი სამშობლისი, **დასავლეთი საქართველო**, ან იმერეთი. დასავლეთით მისი საზღვარი შავი ზღვაა. მესამე დიდი ნაწილი სამშობლო ქვეყნისა **სამხრეთი საქართველო**, ან ზემო ქართლი. ძველათ საქართველოს ამ ნაწილს სხვა სახელებიც ერქვა. ვეძახდით, ხან მესხეთს, ხან კიდევ სამცხე-საათაბაგოს. ამ ბოლო დროს სამხრეთ საქართველოს ერთი ზედმეტი სახელიც მივუმატეთ. ეს სახელია სამამაღიანო, ან გამამაღიანებული საქართველო. მიზეზი ამისა ისაა, რომ აქაურმა მკვიდრმა ქართველობამ, კარგა ხანია, მიიღო დიდი წინასწარმეტყველის, მამადის რჯული და, ჩვენც რჯულის მიხედვით, ახალი სახელი მოვუგონეთ, რაც ყოველათ შეუწყნარებელია. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ფრიად საქირაა, რომ სამხრეთ საქართველოს ვაკუთვნოთ ერთი სახელი და ეს სახელი უნდა იყოს **ზემო ქართლი**.

სივრცით სამივე ნაწილი საქართველოსი თითქმის ტოლ—ტოლია, ქარბობს ცოტათი ქვემო ქართლი. მარა, თუ კვლავ საქართველო ვდირსა ბუნებრივ გაერთიანებას, მაშინ სივრცით სამივე ნაწილი ჩვენი სამშობლოსი, სწორეთ რომ გათანასწორდება.

ზემო ქართლი გადაქიმულია თრიალეთიდან მოყოლებული შავ ზღვამდე. უმთავრესი მდინარე ზემო ქართლისა კოროხია, რომელიც ერთვის შავ ზღვას ბათომის ნიანხლოს. სათავიდან მოკიდებული შესართავამდე მდინარე კოროხი ეკუთვნოდა ზემო ქართლს, დღეს—კი

რალაც ოთხმოცი ვერსია ამ მდინარისა ჩვენ ხელში. მეორე დიდი მდინარე ზემო ქართლისა გახლავთ მტკვარი, უფრო—კი მისი სათავე.

II

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისი საბედისწერო დრო იყო ჩვენთვის. პოლიტიკურმა სიბეცემ სახელმწიფო გონება და აზრიანობა დაუკარგა ირანს და ოტომანთა ქვეყანას, დაუბნელა თვალთ და გონება დაბნულთ აღარ დაინდეს საქართველო. ირანი მოაწვა ქვემო ქართლს, ხოლო ოსმალეთი ზემო ქართლს. უდაბნოთ აქცია შაჰაბასმა შევნიერი კახეთი, ივრის ხეობა, ქიზიყი და შერეთი, დღენდელი საქათალის ოლქი. რომ იტყვიან, ქვა—ქვაზე არ დატოვავა, სწორეთ ისეთი ბედი მიაყენა აბას დიდმა ქვემო ქართლს. ბოროტმა შაჰმა ათიათასობით გაწყვიტა ქართველნი, ასი ათასზე მეტი მკვიდრი თან გაიარეს ცხვრის ფარასავით. ზოგი გაწყდა გზაში შიმშილითა და მწუხარებით, ზოგი გაყიდეს, ვითარცა მონანი, ხოლო ვინც, გადარჩა სიკდილს, ან მონობას დაასახლეს ფერეიდანში, საცა დღესაც მოიპოვება მკირეოდენი მათი ნაშთი. ბევრს ქართველს ეხსომება იქიდან ჩამოსული ამ რამდენიმე წლის წინათ ონიკაშვილი და ხუციშვალი. ამ ორმა უცხო სტუმარმა კვლავ მოგვაგონა შაჰაბასის მიერ ჩადენილ ბოროტების სიმწვავე და სისასტიკე.

აწიოკებული, აკლებული, აზხრებული ქვემო ქართლი დიდხანს ვეღარ გასწორდა წელში, სული ვეღარ მოიბრუნა. გაქლებილთა და გადასახლებულთა ადგილ-მამული აბასმა გაუბოძა მუგალებს და დადესტნის მოიელებს. როგორც ხიწვი არ ასვენებს სხეულს, ისე ეს უცხო რომნი შეგებას არ აძლევდენ ჩვენ ქვეყანას. ქვემო ქართლის აკლება შაჰაბასის მიერ დასრულდა 1616 წელს.

დაახლოებით ამავე დროს მოაწვა ზემო ქართლს ოსმალეთი. 1625 წ. იგი დამკვირდა ქალაქს ახალციხეს. უღმობელის სისასტიკით მოეპყრა ოსმალეთიც ირანსავით ჩვენს სამშობლოს, ყველაფერი მიღეწ—მოღეწა და

ნაკარტუტათ აქცია. განსხვავება ირანელთა და ოსმალთა შემოსევისა ისაა, რომ ირანმა ფეხი ვერ მოიკიდა აკლებულ ქვემო ქართლში, ხოლო ოსმალინი დამკვიდრდნენ ზემო ქართლში და დააწესეს თვისი მართვა-გამგეობა. აქიდან იწყება თურქულ—ოსმალურ ენის გავრცელება ზემო ქართლში, დაკარგვა ძველი ქრისტეს რჯულისა და მიღება მამადისა.

ამ დღემ ორმა უბედურობამ შესამჩნევათ დააძაბუნა საქართველოს სამეფო. რაკი ირანმა და ოტომანთა იმპერიამ არ დაინდო საქართველო, არ შეინახა და სასიკვდილოთ გაიმეტა, საქართველოს მეფენი იძულებული გახდნენ სხვაგან ექებნათ საფარველი სიცოცხლისა და ძველის კულტურის შესანარჩუნებლათ ღერძი საქართველოს პოლიტიკისა ჩრდილოეთისკენ მიტრიალდა.

III

ისტორიულ ზემო ქართლს შეადგენდა:

1) გურია, 2) ქობულეთი, 3) აქარა, 4) სამცხე, 5) ლივანი, 6) შავშეთი, 7) არტანუჯი, 8) ფანასკეტი, 9) ოლთისი, 10) ტაო, ან ტაოსკარი, 11) ჯავახეთი, 12) არტანის, 13) ერუშეთი, 14) კოლა, 15) აბოცი, 16) ჩუღურეთი, 17) კლარჯეთი, 18) თორთომი, 19) ხახული, 20) ისპირი, 21) ფორჩხა, 22) ქანეთი. ზემო ქართლს ხშირათ ეჭირა კარი (ყარსი), ბასიანი, და თვით აზრუმი (კარნუქალაქი).

ქანეთს, ან ლაზისტანს დღეს უჭირავს ვიწრო ზოლი ქანეთის მთასა და შავ ზღვას შორის ტრაპიზონამდი. მ. ჯანაშვილის სიტყვით, ქანთა მფლობელობა უწევდა მდინარე დალისამდი. ქანურ-მეგრული დალისი, ამბობს ბ-ნი ჯანაშვილი, უდრის ქართულს დელისს; დელეს—ხევი, მდინარე.

მეხუთე საუკუნეში ქრ. დაბადების შემდეგ, საქართველოს დასავლეთ მიჯნათ ყოფილა ხუფათი, ან ხოფა. ამ ხოფას იქით არის რიზა, რომლის დასავლით ქანეთის მთიდან ჩამოვარდება მცირე მთა ზღვამდი და ეს მთა

საზღვრავსო, ამბობს გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოსა და საბერძნეთს. აქვე არისო რკინის პალო და სატყეველა და აქვე მეფე არჩილიმ († 418 წ.) ააშენაო ციხე, ილბათ, რიზაო. მის გაყოლება ხაზი, ქოროხის სათავის მთებამდი, შეადგენს საქართველოში შემოსასვლელ კარს და იწოდება საქართველოს ყელათ, რომელსაც ოსმალთა მფლობელობაში გადაერქვა გურჯი—ბოლაზი, ქართლის ყელი.

ზემო ქართლი, მოწყვეტილი მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, კვლავ დაუბრუნდა საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ჯავახეთი და სამცხე 1828 წელს, ხოლო ქობულეთი, აქარა, ლივანი, ქანეთი, (ნაწილი), შავშეთი, არტანის, კლარჯეთი, ტაო, ოლთისი, არტანუჯი 1878 წ. ვინ იცის, ეგები ბედმა მოიპრიანოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში დასრულდეს საქართველოს გაერთიანება და საქართველოს დაუბრუნდეს ისიც, რაც უჭირავს სხვას ძალმოძრგობით და უსამარ თლოთ.

IV

ზემო ქართლის ბედი მოსვენებას არ აღწევდა ქართლ—კახეთის მეფეს, ირაკლი მეორეს. მის სამეფო გვირგვინს ბევრი მარგალიტი მოსწყვიტა ირანმა ღ ოსმალეთმა. მარა ყველაზე მეტათ გულს უკლავდა მეფეს ზემო ქართლის დაკარგვა, იმ ქართლისა, სადაც აღმობრწყინდა მთელი გუნდი სასულიერო და საერო მოღვაწეთა, სარდალთა და კანონმდებელთა. სამეფო ტიტული ირაკლისა ასეთი იყო: ირაკლი II, მეფე ქართლისა და კახეთისა, **მემკვიდრე მთავარი-ხამცხე-საათაბაგოსი**, მთავარი ყაზახისა, ბორჩალოსი, შამშადილისა, კახისა, შაქისა (ნუხა), შირვანისა, (შემახა), მფლობელი და პატრონი განჯისა, ერინისა და სხვათა.

შაქისა და შირვანის დაკარგვას აიტანდა, როგორც იქნებოდა. მარა, როგორ აეტანა მოჭირანხულე მეფეს დაკარგვა ზემო ქართ-

ლისა, რომელიც ოსმალთა ხელში კარგავდა თავის სახეს, ენას, წნეს და ჩვეულებას და რომელიც საოცარის სისწრაფით დადგომოდა გადაშენების და გადაგვარების გზას. რაკი საკუთარის ძალ—ლონით ვერ ახერხებდა ზემო ქართლის დაბრუნებას, ირაკლიმ გადაწყვიტა მიეღო რუსის დედოფლის, ეკატერინე მეორის მფარველობა, ან პროტექტორატი. ასეთი საერთაშორისო ხელ-შეკრულება დაიდო ორ სამეფოთა შორის 1783 წ. უზენაესი თვისი სამეფო უფლებანი ირაკლიმ თვისის ნებით და სურვილით შეზღუდა, ოლონდ—კი ამ უზომო სხვერპლის წილათ საწადელი აესრულებინა და ზემო ქართლი თავის გულ—მკედრში ჩაეხუტებინა.

ამ შესანიშნავი ტრაკატის მეოთხე საიდუმლო მუხლი (არტიკული) დედოფალ ეკატერინე მეორეს ავალედა იარაღით, ან ზავის შეკერის დროს ოსმალეთთან მტკიცე და შეუწყველ მოთხოვნით დაებრუნებინა ქართლ-კახეთის სამეფოსთვის ის ქვეყნები, რომელიც ძველის ძველათვე მას ეკუთვნოდა.

V

ისტორიული ზემო—ქართლი დღეს ასე დაწინაურებული ადმინისტრაციულათ: 1. ყარსის „ობლასტისა“—ა) არტანის (არდაგანი) ოლქი და ბ) ოლოთისის ოლქი. II. ბათომის „ობლასტისა“—ა) ართვინის ოლქი და ბ) ბათომის ოლქი. ტფილისის გუბერნიისა—ა) ახალციხის მაზრა და ბ) ახალქალაქის მაზრა. სულ, მაშასადამე, ოთხი ოლქი და ორი მაზრა.

სივრცე ბათომის „ობლასტისა“ უდრის 6129 ოთხკუთხ ვერსს, ან 643,545 დესეტინას—ქართულ 1.387.090 დღიურს. აქიდან ბათომის ოლქს უჭირავს 3.254 ოთხკუთხი ვერსი—341,670 დესეტინა, ხოლო ართვინისას— 2.878 ვერსი—301.875 დესეტინა.

ყარსის „ობლასტის“ ორ ოლქს—არტანისას და ოლოთისისას უჭირავს 7,540 ოთხკუთხი ვერსი, ან 791,700 დესეტინა—ქართული დღიური 1.583.400. აქიდან არდაგანის ოლქზე მოდის 4.919 ოთხკუთხი ვერსი—516.495 დესეტინა, ხოლო ოლოთისისაზე

2.621 ოთხკუთხი ვერსი—275.205 დესეტინა.

ტფილისის გუბერნიის ორ მაზრას—ახალციხისას და ახალქალაქისას უჭირავს 4,739 ოთხკუთხი ვერსი, ან 497.595 დესეტინა, ქართული 995.190 დღიური.

სულ—კი ისტორიულ ზემო ქართლიდან დღეს რუსეთს უჭირავს 18.408 ოთხკუთხი ვერსი, ან 1.932.840 დესეტინა, ესე იგი, 3.865.680 ქართული დღიური.

სივრცით ქუთაისის გუბერნია უდრის 18.535 ოთხკუთხ ვერსს (უსოხუმოთ), ხოლო ტფილისისა—35.914 ოთხკუთხ ვერსს (ესეც უზაქათალოდ).

მერვე-მეცხრე საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგ, ტაო, კლარჯეთი და შავშეთი, პროფესორ ივ. ალ. ჯავახიშვილის სიტყვით, სრულიათ აოხრებული ყოფილა, უშენი და უმკვიდრო, ესე იგი, უხალხო. „მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილადგილ“, ესე იგი, აქა-იქაო. ქართლიდან მიაწვა ერი უდაბნოთ ქმნილ ტაო—კლარჯეთ—შავშეთს და კვლავ აყვავდა ქვეყანა, მოიფინა ეკლესია—მონასტრებით და ეს პატარა და შვენიერი კუთხე ჩვენის სამშობლოსი შეიქნა ქართულ მწერლობის ერთ საუკეთესო სადგურათ.

ნათქვამიდან ყველა ადვილათ მიხვდება, თუ ვისი ჩამომავალნი არიან დღეინდელი მდინარე ქოროხის-პირელნი.

ისტორიული ზემო-ქართლი უფრო მტკიცე იყო და ერთიანი ეროვნობით და რჯულით, ვიდრე დღეინდელია. ახლანდელი ზემო ქართლი ძლიერაა აჭრელებული, როგორც ერთა სხვადასხვაობით, აგრეთვე რჯულითაც. წინათ თიოქმის მარტო ქართველობა იყო და ბატონობდა ქრისტიანობა. მართალია, დღესაც უმრავლესობა მკვიდრისა ქართველობაა. მარა სხვა ერიც ბევრნი შეეხიზნა და ჩაეთესლა ზემო ქართლს. რჯულიც შეიცვალა და პირველი ადგილი უჭირავს ახლა მამადის რჯულს.

ზემო-ქართლში დღეს ბინადრობენ რუს-

ნი მართლ-მადიდებელნი და მწვალებელნი. ქართველნი: მართლ-მადიდებელნი, მამადის რჯულისა და კათოლიკენი; სომეხნი: გრეგორიანნი და კათოლიკენი; ევროპელნი, ბერძენნი, სპარსელნი, შთიელნი ბოშანი, ებრაელნი და თურქნი.

ბათუმის „ობლასტის“ ორთავე ოლქში ბათუმისა და ართვინისაში ითვლებოდა 1914 წ. პირველ იანვარს 191,238 სული მამა-კაცი და დედა-კაცი. ამათში ქართველია—ქრისტიანი და მამადიანი—101.512 სული. ნაანგარიშევი არაა რაოდენობა ქართველ კათოლიკეთა.

ყარსის „ობლასტის“ ორთავე ოლქში არტანისა და ოლთისისაში ითვლებოდა 1 იანვ. 1814 წ. 98.107 სული მამა-კაცი და დედა-კაცი. ამათში ნაანგარიშევი ოფიციალურათ ქართველი და ისიც ქრისტიანი, მარტო 4.146 სული. ასეთი ანგარიში აშკარა შეცდომაა, რადგან არ მიუღიათ სათვალავში ქართველი მამადიანი.

თვ. გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ნაანგარიშევი სულ 200.921 სული. ამათში ქართველია 65.611 სული. არც აქა ნაანგარიშევი რაოდენობა ქართველ კათოლიკეთა.

სულ ოთხ ოლქში და ორ მაზრაში, ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით, ითვლება 405.218 სული. ამათში ქართველია 171.269 სული, ესე, ეგი, ნახევარსაც ვერ უწევს საერთო რიცხვისას. მარა, თუ არ დავივიწყებთ, რომ ოფიციალურ სტატისტიკას დავიწყებია არტანის ოლქის ქართველნი, დავიწყებია აგრეთვე ქართველი კათოლიკენი, მაშინ დარწმუნდებით, როდენინდელ ზემო ქართლში ქართველთა რაოდენობა იწევს 60%—დი. არტანის ოლქში მოხსენებულია 49,614 სული-სუნა მამადიანი. ფოცხოველნი და ერუშნელნი ვინ არიან, თუ არ ქართველნი?

VI

არაბებმა წახდინეს ქვემო ქართლი მეზიდემერვე საუკუნეში, დააუძიურეს პოლიტიკურათ. მაშინ პირველობა მან დაუთმო „ქვეყანასა ზემოსა“, ან ზემო ქართლს. პოლიტიკური, კულტურული ჰეგემონია ტაო-

კლარჯეთს გადავიდა. იქ გამაგრდა, ამბობს გრ. ყიფშიძე, ვით არწივი, ციკაბო კლდეთა და მწვერვალთა შორის, დიდი აშოტ კუროპალატი, არტანუჯში დაამკვიდრა თვისი სამეფო ტახტი და იქიდან მსნეო გაწაგებდა მთელს ტაო-კლარჯეთს, მთელს მესხეთს, ვიდრე მტრებმა (არაბებმა) შიგ ეკლესიის ტრაპეზში არ დაკლეს (826). აშოტის შემდეგ, უფრო გაძლიერდა და აღორძინდა ზემო ქართლი. აქ ჩაეყარა საძირკველი „ქართველთა სინას“. სულ მცირე ალაგზე აშენდა თორმეტი მონასტერი. თითო მათგანი ქალაქსა გავდა და უზგათ ფენდა მთელ საქართველოს განათლებას. იოანე და შვილი მისი ექთვიმე, გიორგი მთაწმიდელი, იოანე შავთელი, შოთა რუსთველი, ბექა და აღბულა კანონ მდებელნი, აი, ის მუმბერაზნი, წიაღსა შინა ზემო-ქართლისასა შობილ-დაბადებულნი.

დღეს სადღაა, გოდებს იგივე ავტორი, ძველი დიდებული ტაო-კლარჯეთი, ეს ჩვენი კულტურის აკვანი, დიდი კერა ჩვენი სულიერის და პოლიტიკურის აღორძინებისა, ეს სიმბოლო თავისუფლების შენარჩუნებისა მიუვალ მთათა შორის ოდესმე? რაღა დარჩა დღეს იქ, საცა ცასაც და დედა-მწიას აკვირებდა ტაძარი კუმურდოსი, ბანისა, იშხანისა, ოპოზისა, აწყურისა, წყაროს-თავისა? დღეს ყოველივე მინგრეულ-მონგრეულია, აოხრებული, გავერანებული...

დღეინდელმა უღომობელმა ომმა ბასრი კვალი გაავლო ტაო-კლარჯეთთა ჩამომავალთ, ააწიოკა, ცეცხლის ალში გაახვია. ბევრი შიმშილით გაწყდა, ბევრი მახვილმა მოიღწო, ბევრი კიდევ გადიხვეწა სამშობლოდან.

შემოერთება ზემო-ქართლისა 1828 და 1878 წლებში იაფათ არ დაგვიჯდა. უნდა გვახსოვდეს, რო თითქმის ნახევარი მილიონი ხალხი გადავარდა ოსმალეთს და მათი ადგილი დაიკირეს სომხებმა, ქურთებმა და ბერძნებმა. 1914—1915 წლს ომმაც დაბლა ემიგრაცია, მუხა-ჯირობა, ნებსითი, თუ უნებლიეთი. ვინ დაიქერს მათ ადგილს, ჯერ არა ჩანს ნათლათ..

მარა გულს ნუ გავიტყუებთ. ვიყვნეთ მხნეთ. ოდესმე ზემო ქართლში იხსნა საქართველო. ახლა ამერთ-იმერთის ვალია გაუწოდოს დახმარების ხელი ჭირსა შიგან ჩავარდნილ ძმას.

„ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა, ვით ქვიტკორსა“.

ა. ფრონელი (ალექსანდრე ყიფშიძე).

კარლო ჩხეიძის სიტყვა.*)

19 ივლისის სხდომაზე წარმოთქმული.
(სტენოგრაფიულ ანგარიშიდან.)

ბატონებო, სახ. დუმის წევრო! პირადათ მე და ჩემი პოლიტიკური თანამოაზრენი ისე, როგორც ყველანი, ვისაც შეგნებულათ არ სურს თვალების დახუჭვა იმის შესახებ, რაც ხდება დღეს, ვფიქრობთ, რომ რუსეთი განიცილებს მწვავე, საშიშ კრიზისს და, თუ ის ერთიანად არ შეცვლის სავალ გზას, სულ ადვილათ შესაძლებელია, რომ სახელმწიფო სრულ დამსხვრევის, ხოლო ხალხი სრულ გადაშენების გზაზე შედგეს (ხმა მარჯვნიდან: რა საშინელება!). საშინელებაა, თუ არა, ჩვენ მაინც, ბ. ბ., საქიროთ მიგვაჩნია ვილაპარაკოთ ის, რაშია ცდომილად დარწმუნებული ვართ. სახ. დუმის მოწვევას ჩვენ იმ მიზნით მოვითხოვდით, რომას დაესვა ის საკითხი, რომელიც მე ახლა დავაყენე, საკითხი იმის შესახებ, რომ მომენტი, რომელსაც ახლა განიცილებს რუსეთი, ქეშმარიტათ, უაღრესათ კრიტიკული მომენტი. და, თუ ეს ასეა, ვინაა დამნაშავე ამაში და სადაა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან?

ჩვენ გვესმოდა დღეს ამ საკითხებზე პასუხი მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან და, როცა ვუსმენდი, გამახსენდა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრი—სტოლიპინის სიტყვები, რომლითაც ამ ტრიბუნლიდან მიმართა მან, თუ არ ვცდები, კადეტების პარტიას. ეს სიტყვები შემე-

დგეში გამოიხატებოდა: „თქვენ ვინდათ დიდი მღელვარება, ჩვენ გვინდა ძლიერმოხილი რუსეთი“. და, აი, როცა დღეს ვუსმენდი მთავრობის წარმომადგენლების პასუხს, იმ დასკვნამდი მივედი, რომ შეგვიძლია ეს სიტყვები სწორეთ მათ დაეუბრუნოთ. ქეშმარიტათ, მათთვის საჭიროა დიდი მღელვარება, რომ ერთი წუთით მაინც დაფიქრდენ იმაზე, თუ რა სურს ქვეყანას. რასაკვირველია, არა იმისთვის, რომ საჭირო საქმენი განახორციელონ, არამედ იმისთვის, რომ მეორე დღესვე დაივიწყონ. ეს ხალხი ერთიანად ემჩრობა იმ დებულებას, რომელიც ამბობს: რაც უარესია, მით უკეთესიაო. საჭიროა ჩვენ ქვეყანას თავს დაატყდეს დიდი უბედურება, რომ თუნდაც ერთი წუთით მაინც გაიხსენონ, თუ რა ესაჭიროება მას. თუ უკან მოვიხედავთ და უკანასკნელ ორი თვის ამბებს გავივალისწინებთ, შევნიშნავთ, რომ, რამდენათ იზდება დამარცხება და უბედურება, იმდენათ ემჩნევთ რაღაცა ცვლილებები და დეკორაციების გადაცვლ-გადმოცვლა. ყოველ შემთხვევაში, დღემდი ჩვენ გვაწერდენ დევისს— „რაც უარესია. მით უკეთესია“, ხოლო დღეს ფაქტები ნათლათ ამბობენ, რომ ამ დებულების თავყანის მცემელი, ჩვენ—კი არა, მთავრობის წარმომადგენლებია.

ჩემ მიერ დასმულ საკითხზე დღეს პასუხი მოეუსმინეთ სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლებსაც. უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრ თქვენგანს, ბატონებო, ამ ერთი წლის სისხლის ღვრის დროს, არაფერი არ უსწავლია. ხოლო ზოგისთვის—კი ამ გაკვეთილს არ ჩაუვლია ტყუილ უბრალოთ. ამ ტრიბუნლიდან იწყებენ დღეს ლაპარაკს რაღაცეებზე იმ ენით, რომლითაც ჩვენ ერთი წლის წინათ, 26 ივლისის ვილაპარაკობდით და, ამის გამო, დიდ ბოდიშს ვისდი, ბატონებო, რომ იძულებული ვიქნები ზოგი რამ ისევე გავიმეოროთ. ჩვენ ყველანი ვცნობდით, ბ. ბ., რომ დუმაში ყოფნას პირველათ ყოვლისა ერთი აზრი აქვს: ვილაპარაკოთ ამ ტრიბუნლიდან მხოლოთ სიმართლეთ და ამ

*) იხ. „თანამედ. აზრი“ № 137.

სიმართლით მივმართოთ ხალხს. სრულიათ გულ-
ახლილათ მოვახსენებთ, რომ არასოდეს ასე
ძლიერათ არ მქონია სურვილი ქვეყნისთვის
სრული სიმართლე მეთქვა, როგორც ეს ახ-
ლანდელ მომენტში მაქვს. პირველი სიტყვა იმ
სიმართლისა, რომლითაც დღეს სახ. დუმის
ტრიბუნლიდან უნდა მივმართო ქვეყანას, არის
ის, რომ იმ მეტათ საშაშ კრიზისში, რომლის
წინაშე დღეს ხალხი დგას, პირველი რიგის
თავიდათავი დამნაშავენი არიან, აი, ეს ბა-
ტონები, რომელთაც ეს სავარძელები უჭირავთ
(უჩვენებს მინისტრების ლოკებზე). ჩვენთვის
სულ ერთია, თუ ვინ იჯდა იქ გუშინ და ვინ
ზის დღეს, ვინაიდან, მე ვფიქრობ, რომ ეს
ხალხი, მიუხედავად გარეგნული სხვადასხვაო-
ბისა, არსებითათ ყველა ერთნი არიან.

ამგვარათ, ბატონებო, მე ვამტკიცებ,
რომ იმ კრიზისში დაუბედურობაში, რაც ქვე-
ყანას დაატყდა თავს, დამნაშავენი არიან ისი-
ნი. მათ ყველაფერი მოიმოქმედეს ამ წელი-
წადში, რა სრულიათ დაფუძნათ ცოტაოდ-
ნათ მთელი საფუძველი რუსეთის ცხოვრებისა,
რა დაეძაბუნებიათ ის, რა მიენგრ-მოენგრი-
ათ მისი ორგანიზაციული და ზნეობრივი ძა-
ლები. ლიტონი სიტყვების ამარა, რომ არ
დავრჩეთ, მე შემდეგს მოვახსენებთ: ომის გა-
მოცხადებისთანვე მთელი მუშათა კლასი ტერო-
რის ქვეშ დააყენეს, ტერორის ამ სიტყვის სრუ-
ლი მნიშვნელობით. უბრალო სავათამყოფო კას-
ები სრულიათ ლეგალური დაწესებულებანი „ოხ-
რანკამ ხაფანგათ გადააქცია. საკმარისი იყო
კასის მდივნობა, რომ უსათუოდ დაპატიმრება
მოელოდათ. პროფესიონალური კავშირები,
თუკი ასეთები სადმე იყო დარჩენილი, ერთი-
ნათ მოასპეს; მუშათა პრესა ომის დაწყების-
თანვე ჩაახრჩვეს; ერთად ერთი მუშათა გაზე-
თი, „ნაშე დელო“, რომელიც ომის მიმდინა-
რობის დროს აღმოცენდა, დახურეს. მუშა,
როგორც მოქალაქე, მუშა, როგორც მოაზ-
როვნე ადამიანი, როგორც ადამიანი, თვისი
კლასის იდეისა, სურვილებისა და მისწრაფე-
ბათა გამოხატველი, გადიქცა რუსეთში, ომი-
ანობის დროს, ისეთი დევნის საგნათ, რაც
არ ახსოვს მთელი ცხრა წლის განმავლობაში
მოპარპაშე რუსეთის რეაქციონურ რეჟიმს.
მარა საქმე, ბატონებო, ამით არ გათავებულა.

და, აი, ის ხალხი, რომელთაც თავის წრეში
მუდამ ყავდა და ყავს მისაოედოვები, აი, ეს
ხალხი, ბატონებო, მოლალატეებს ეძებს მუ-
შებში და, მუშათა წარმომადგენლებში. სწო-
რეთ იმ დროს, როცა მისაოედოვები და მათი
მფარველები ჯარის ზურგს უკან რუსეთს კაი-
ზერის აგენტებზე—ყიდდენ, ჩვენს ამხანაგებს
ასამართლებდა შჩეკლოვიტოვის სამს-
ჯავრო. ვინ იცის, იქნებ ეს უკანასკნელი
ამოტეტივება იყო შჩეკლოვიტოვის პროვო-
კატორული იურიდიული აზრისა და სწორეთ
ამ დროს აღებდენ მუშათა წარმომადგენლებს
ბორკილებს. შემდეგ, როცა კატორულმა შრ-
ომამ მუშები აიძულა ხმა ამოელოთ თვის გა-
ჭირვებაზე, როდესაც ქარხანა ფაბრიკებში შე-
მოღებულმა შრომის მილიტარიზაციამ ალა-
პარაკა ის ამ საშინელებაზე, ისინი მოლალა-
ტეებათ გამოაცხადეს, რასაც ქვერმეტყველუ-
რათ ამოწმებს სწორეთ იმ გენერლის ბძანება
რომელიც დღეს აქ იჯდა და თქვენ ის გმა-
რათ გამოაცხადეთ, ტაშს უკრავდით. საქმე
იქამდი მივიდა, რომ ამას წინათ კოსტრომაში
რამდენიმე მუშა დახვრიტეს, ხოლო მრავალი
დაატუსაღეს. და, ამის შემდეგ, ბატონებო,
თქვენ და თქვენი მთავრობა კიდევ ბედავთ
და ლაპარაკობთ მუშებთან ერთობაზე, რუსე-
თის ხალხის გაერთიანებაზე! მე თქვენ გეკით-
ხებით, ბატონებო: ამის შემდეგ, როცა თქვენ
თვალწინ ხვრეტენ მუშებს, რუს მუშებს, მხო-
ლოთ იმისთვის, რომ ისინი ლაპარაკობენ და
რაზე? ისინი არ თხოულობდენ დემოკრატიულ
რესპუბლიკას, არ თხოულობდენ დამფუძნებელ
კრებას, ისინი მოითხოვდენ, ბატონებო, მხოლოთ
შრომის გროშების მომატებას! და, აი, ასეთ
მომენტში, ამისთვის ხვრეტენ მუშებს (ხმა მარ-
ჯვნიდან: ეს შეუძლებელია!)... ეს შეუძლებე-
ლია? ჩვენ ხვალვე შემოვიტანთ ამის შესახებ
შეკითხვას და ფაქტებით ხელში დავიმტკიცებთ,
რო ვლაპარაკობთ აქიდან ქეშმარიტებას. მაშ
ასე, მე გეკითხებით თქვენ, როცა თქვენი მთავ-
რობა ხვრეტს მუშებს, რომელთა ძმები სან-
გრებში სხედან, თქვენ რა უფლება გაქვთ და
როგორ ბედავთ—ილაპარაკოთ, ამის შემდეგ,
მუშებთან რაღაც ერთობაზე? (მარჯვნით
სიცილია). მე ვირჩევდით, ნუ ეძლევით სი-
ხარულს იმ ფაქტების გამო, რასაც ახლა მე
აქიდან გატყობინებთ, ვინაიდან კარგათ

იციან ის, ვინც უკანასკნელათ იციან (ხმა მარჯვნიდან: ეს მართალია!)

ყველა ეს ხდება, ასე ეპყრობიან მუშებს, ბატონებო, მაშინ, როცა უზომო მოკვება, უთვალავი ოქროები მიხზრიალებენ ბ. ბ. რუს მრეწველთა ჯიბეებში, რომელნიც არ თავილობენ შექნან ქარხნებში სამხედრო წესები, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, წესები აუტანელი.

ახლა გადავიდეთ, როგორია დამოკიდებულება სხვა კატეგორიის რუს მოქალაქეებთან, რომელნიც ბევრში წააგავენ მუშებს თვისი მდგომარეობით, 6 მილიონიან ებრაელ მცხოვრებლებთან? როგორც მუშებს, ისე ებრაელებსაც დღეს ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, რო მათ არაფერის დაკარგვა არ შეუძლიათ, გარდა ბორკილებისა, სატუსაღოებისა, დახვრეტისა და სახრჩობელებისა. რომ ამის შემდეგ, თამამათ ილაპარაკონ, თითქო არც მუშებს და არც ებრაელებს არ შეუძლიათ არ იყონ მოღალატეები... და, თუ მუშებს ართმევენ თავის ხელმძღვანელებს, ამწყდევენ მათ ციხეებში იმისთვის, რომ აწამონ, სამაგიეროთ ებრაელებს თვის საპატიო საზოგადო მოღვაწეებს სტაკებენ, როგორც მძევლებს. მე გეკითხებით თქვენ, ბატონებო, ოდესმე, რომელიმე მთავრობა მისულა ასეთ უაღრეს ცინიზმამდე, რომ თვისი ქვეშევრდომები მძევლებათ წაუყვანა? მე ვამტკიცებ, რომ ისტორიას ამის მგზავს არაფერი ახსოვს (ხმა მარჯვნიდან: ჯაშუშები!) სანამ ებრაელ ჯაშუშებზე ილაპარაკებდეთ, არ უნდა დაგავიწყდეთ საკუთარი მიასოედოვები (ხმა მარჯვნიდან: მიასოედოვი ჩამოახრჩევს). ასეთები, ალბათ, კიდევ იქ, ბევრია.

დღეს ჩვენ გვესმოდა აქ პოლონეთის ავტონომიაზე, ე. ი., პოლონელებთან დამოკიდებულებაზე. ამ ხალხს, როგორც ბევრ სხვა განაპირა მცხოვრებელს, ქვეშარიტათ, თავის ზურგზე გადააქვთ ომის სიმძიმე. მერე რა, ბატონებო, ავტონომია იმის შემდეგ, როდესაც საზღვარზე ფრონტს ასწორებენ და ჯერ კიდევ არაფერს იციან, რომელი ტერიტორია, ვის დარჩება! ახლა ლაპარაკობენ ავტონომიაზე, ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ ის ასე ხმაიდალად შეპირებული ავტონომია, იცით, რაში გამოიხატებოდა? უკიდურესათ მახინჯ საქალაქო თვითმართველობაში, მახინჯ და უგლახეს სუროგატში, რაც-კი შეიძლება წარმოადგინოს აღამი-

ანის აზროვნებამ. და, მე ვფიქრობ, რომ ყოველ შემთხვევაში, პოლონეთის დემოკრატიას არ შეუძლია შეხედოს ამ სამარცხვინო ინსტიტუტს, ავტონომიის მაგივრათ მირთმეულ ულუფას, სხვანაირათ, თუ არა მისი ინტერესების დაცვით. რუსეთის ქვეშევრდომ ნემც მოქალაქეთა დევნა? რასაც ვიხსენებო, არა იმათი, რომლებიც საკმაოთ მაღლა სხედან. იმათ ხმასაც არაფერს სცემს უბატონოთ. მარა ჩვეულებრივი მომაკვდავების დევნა, წასისიანება? თქვენ იცით, თუ სანამდე მივიდა ეს წასისიანება? პირველ სატახტო ქალაქის—მოსკოვის პოგრომამდე. და ეს მოხდა არა მარტო წაქეზებით, არამედ მთავრობის ინიციატივითაც (ხმა მარჯვნიდან: ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ).

შემდეგ, ბატონებო, როგორია ერთობა მეორე განაპირა მხარეში—კავკასიაში, რომელიც დღეს ბძოლის ველათაა ქკეული? პრინციპი „გათიშე და იბატონე“, რითაც მუდამ ხელმძღვანელობდა კავკასიის ადმინისტრაცია, არასოდეს ასე მეთოდურათ არ გაუტარებიათ ცხოვრებაში, როგორც ამ ხანებში. ეს კიდევ ცოტაა. მიუხედავად იმისა, რომ კავკასია დღეს ბძოლის ველია, მის სათავეში დგას, როგორ გვონიათ, ვინ? კიდევ კარგი, რომ ეს იყვეს თვით ავადმყოფი გრაფი ევრონცოვლამკოვი; არამედ მისი ცოლი! ვაცხადებ ამას საქვეყნოთ (ხმები მარცხნიდან: ყოჩაღ! მარჯვნიდან სიცილი და ხმა: რაო, რაო?). სასაცილოა? დიახ, სირცხვილი და თავის მოჭრა! ამის შემდეგ, თქვენ კიდევ ეტყვიან ვინმეს, რომ ვლადები ნემცების საღამურზე თამაშობენ, როცა მთელ მხარეს, სადაც ომი სწორმოებს, განაგებს 80 წლის დედაბერი (ხმაურობაა. მარკოვი მეორე: ქალთა თანასწორობა?) ხოლო ბათუმის ოლქის ბედის მატრიალეზელი ასეთ დრ.ას სწორეთ ის ღიახოვია, რომელიც ოდესღაც სპარსეთში ცდილობდა დაწინაურებას. თქვენ იცნობთ ღიახოვს, ყოველ შემთხვევაში, გაგიგონიათ მასზე. ის დემონსტრაციულათ ასახლებს თავის კარმიდამოდან მთელ მცხოვრებელთა და ასევე დემონსტრაციულათ აბინადრებს მათ ადგილზე მოსულეებს. კავკასიის მამადიანები და, მათ შორის, ქართველი მამადიანები კანონს ვარეშე გამოაცხადეს.

აუარებელი კონკრეტული ფაქტები რომ არ ჩამოვთვალოთ, რაც დაგინატავდათ თქვენ სურათს დღეინდელი კავკასიის მდგომარეობისას, მე ხბოლოთ გეტყვი, რომ აქარისა და სხვა რაიონების ახორების შემდეგ, ტყეში ნახულობდენ გაყინულ დედაკაცებს ძუძუმწოვარა ბავშვებით. ეს დედაკაცები გარბოდენ მოძალადეთაგან, გარბოდენ ტყეში, რომ თავი დაეღწიათ მოსულ ბარბაროსთა ვანდალებისგან, ნამუსი შეენახათ და გაუპატიურებას აცდენოდენ (ხმა მარჯვნიდან: ცოტა რბილათ, ვინ არიან ესენი?) თქვენ თვით შეენივრათ უწყით, თუ ვინ ჩადის ასეთ საქმეებს (ხმა მარჯვნიდან: ვინ ჩადის, თქვით ბარემ).

თავმჯდომარე. გთხოვთ, ნუ ლაპარაკობთ.

ჩხვიძე. იყო ედა, ედა პროვოკატორული, რომ რაღაც ბნელი სიტყვებით ჩირქი მოეცხათ ქართველებისთვის. გამოუშვეს პეტროგრადის დებ. სააგენტოს უსინიღისო და ბუნდოვანი დებეშა, თავისთავათ იგულისხმება ცენტრალური და კავკასიის მთავრობის ნებართვით. ამ გათახსირებულ ცდას ღირსეულათ დაუხვდა ქართველი დემოკრატია და, მე მგონია, რომ ამ კომპანიის ავტორები და ინიციატორები მეორეჯელ ველარ გაბედვენ ასეთი ნაბიჯის გადადგმას.

მამადიანებს არ შეუძლიათ დაფარონ, ამზობდა ამ ტრიბუნლიდან 27 იანვარს, მამადიანთა ფრაქციის წარმომადგენელი, რომ ახლაც კი, ასეთ სერიოზულ მომენტში, მთავრობა ძალიან საგრძნობელ შეურაცყოფას აყენებს მამადიანთა რელიგიოზურსა და ნაციონალურ გრძნობებს. ხოლო გადასახლებულ სვინხუდისა და მისი თანამემამულეების ბედი, რომელთაც თავზე აცივებთ მთავრობის რეპრესიები, მუდამ აგონებს ფილიანდიის მოქალაქეთ ფილიანდიის კონსტიტუციისა და ავტონომიის ბედს.

რალა გააკეთა თქვენმა მთავრობამ გალიციაში, რომელზედაც აქ დღეს რამდენჯერმე ილაპარაკეს? ჯარმა ვერ მოასწრო, ბატონებო, იქ ფენის შედგმა, რომ აღმინისტრაცია, რუსული აღმინისტრაცია გრეგუროს მეთაურობით და აქ მჯდომარე ღუმის წევრთ, გრ. ბობრინსკისა და ჩიხაჩოვის მფარველობით, შეუდგა იქ კენშარიტ-რუსული კულტურის დამყნა-დათე-

სვას. ხოლო იქაურ ებრაელებს, რომლებიც მოვიდენ საკითხათ, თუ როგორი იქნება მათი ბედი, ცინიკურათ უპასუხეს: "თქვენი ლოიალური მოქმედებით თქვენ შეგიძლიათ მიიღწიოთ იმას, რომ გაგათანასწორობთ უფლებებში ჩვენ ებრაელებთანაო! (ჩიხაჩოვი: მე ეს არ მილაპარაკენია).

შემდეგ, ბატონებო, იმავე გაერთიანების სახელით მთავრობამ, არა თუ გააძლიერა დენა პოლიტიკურებისა, არამედ მათი ადგილობრივი მდგომარეობა ერთი ათათ გაუარესდა წინანდელთან შედარებით. არასოდეს დაცინვა-წამება და ძალადობა პოლიტიკურისა არ მისულა იმ უკიდურესობამდი, როგორც რომინობის განმავლობაში. რალა გააკეთა თქვენმა მთავრობამ, ამ დროს განმავლობაში, სინდიისის თავისუფლების საქმეში? მან ვერ შესძლო, თუნდ ასეთ მომენტში თავი მიენებებია თავისუფლათ მილიონიან რუს-სექტანტებისთვის და დენიდა მათაც ისევე ბეჯითათ, როგორც წინათ.

რამი გამოიხატა გაერთიანება სიტყვის თავისუფლების საქმეში? იმაში, რომ მაშინ, როცა შავრაზმულ გაზეთებს მთავრობამ ომის დაწყების დღიდანვე ნება მისცა „საპაოგრომო“ ავტოციისა, (თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ გაზეთები, რომლებსაც სტამბავდენ აქ მჯდომარე ბატონები), ამ დროს მუშათა პრესის წარმომადგენლები საჩქაროთ ციხეში ჩასვეს. ხოლო ბურჟუაზული პრესაც ვერ ასცდა იმ მდგომარეობას, რომელზედაც ლაპარაკობდა დღეს კადეტების პარტიის წარმომადგენელი. კრების თავისუფლების საქმეშიაც დემოკრატის წაერთვა შეძლებათუნდაც მინიმალურათ ესარგებლა ამ უფლებით. იმავე გაერთიანების სახელით, ბატონებო, გაძლიერებულმა აღმინისტრაციულმა თვითნებობამ, ჩინოვნიკურმა აპეკუნობამ და პოლიციურმა შეხედულობამ მოშალეს ყოველ ნაირი წეს—რიგი და გაამეფეს ქვეყნის სამეურნო საქმეში სრული ქაოსი, რითაც ხელი შეუწყვეს დღეს ყველგან გამეფებულ ცხოვრების სიძვირეს, სიძვირეს, რომელიც მძიმე ლოდათ დასწოლია უმთავრესად მუშათა მასას და გლეხკაცობას.

ბატონებო, ბევრი, ერთობ ბევრი მავალითი შეგვეძლო კიდევ ჩამოგვეთვალა მთა-

ერობის ამ ერთი წლის მოღვაწეობიდან, რაც ამტკიცებს, რომ მისი მუშაობა წლის განმავლობაში იყო მხოლოდ და მხოლოდ ნგრევათი პროცესის მწარმოებელი. მთავრობა გართული იყო თვისი ძველის პოზიციების გასაგრების ცდაში და ყველა სხვა საკითხები მისთვის გარდამავალი და ნაკლებად საინტერესო გახდა. აი, ბატონებო, ვინაა პირველთა ყოვლისა დამნაშავე იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს ქვეყანა იმყოფება. მარა, ბატონებო, უსამართლობა და ცალმხრივობა იქნება, რომ მთელი დანაშაულობა მთავრობისთვის დაგვედვა თავზე. მე შეშინია არ მისაყვედურან თანამოზიარებობა თუნდაც იმ მენშიკოვისა, რომელიც ამას წინათ ამბობდა, რომ პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში თავს აწევს არა მარტო მთავრობას, არამედ სახ. დუმასაც. მე სრული გაბედულობით ვაცხადებ, რომ ამ დარგში, ამ ადგილზე თავის მსჯელობაში შავარზმელი პუბლიცისტი ასჯერ მართალია. მარა, ბატონებო, ძალიან ნუ გაგეხარდებათ, რომ ამ შემთხვევაში ჩემი აზრი შეხვდა თქვენი პუბლიცისტებისას: თქვენ ხედავთ, რომ დასკვნა ჩვენსულ სხვა გვაქვს, ხოლო ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. აი, ბატონებო, მეოთხე სახ. დუმა მთელი წლის განმავლობაში მთავრობასთან ერთად არის. ამ ერთობაში ეძებდნენ ცოცხალ ძალების სათავეს, არა მარტო რეაქციონერები, არამედ ჩვენი იმპერიალისტებიც ბურჟუაზული ბანაკიდან და თვით რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილიც. და, აი, მეოთხე სახ. დუმამ, შეკავშირებულმა ამ მთავრობასთან და მასთან ერთად მომუშავემ თავს იღვა ისეთი საკითხების გადაჭრა, რომელიც ფრაქციებისა და ქვეყნისგან ითხოვდა მეტად სერიოზულ ყურადღებას და შემოქმედებითი ძალების უაღრეს ინტენსივობას. შედეგი ასეთი ერთობისა თვალწინ გვაქვს: ქვეყანა ჩავარდა უკიდურეს კრიტიკულ და სავალალო მდგომარეობაში, რომელშიაც ის დღესაც არის...

მარა, ბატონებო, დიდ ქვეყანას არ შეუძლია დარჩეს ასეთ მდგომარეობაში. ის მონახავს გამოსავალ გზას. ეს გზა ერთია: გზა, რომელზედაც ჩვენ ბევრჯერ გვილაპარაკნია ამ ტრიბუნიდან, გზა ქვეყნის სრული თავისუფლებისა და მისი სრული დემოკრატიზაციისა. აი, ბატონებო, ამ გზის განხორციელებისთვის,

ამ ცვლილებისთვის, რუსეთი მონახავს თავის სიღრმეში ძალას, ზედმეტ ძალას იმისთვის, რომ ღირსეულად გამოვიდეს ყოველნაირ სიტუაციიდან, მდგომარეობიდან და კომბინაციიდან, რაც არ უნდა შექნან მისთვის ისტორიის პროცესში და ომის მიმდინარეობაში. ამ გზაზე, ბატონებო, რუსეთი შექნის თავისთვის შესაფერ სრულ უფლებიან დუმას და მთავრობას, რომელიც იქნება ხალხის ნების ამსრულებელი. ამ გზაზე, ბატონებო, ასეთ მდგომარეობის მიღწევაში რუსეთი მონახავს თავის სიღრმეში ძალებს იმ ლოზუნგის გასახორციელებლათ, რომელიც ჩვენ აქიდან წამოვაცენეთ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ და ამ წლის 27 იანვარს სხდომაზე. ეს არის ზავი, ზავი უანექსიო და საპატიო, ზავი ყოველივე დაპყრობის გარეშე. და ამ შემთხვევაში, ბატონებო, ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ამხანაგების კადრი გერმანიის სოც.—დემოკრატიიდან, რომელთაც თავიდანვე აღიმაღლეს ხმა კაიზერის და მის დამქაშების დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ, იზრდება იქ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ინტერნაციონალური პროლეტარიატი საბოლოოდ ხელში აიღებს უაღრესათ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას საკითხის ხალხთა შორის კონფლიქტისა, რასაც ჩვენ განვიცდით დღეს.

აი, ბატონებო, მოკლეთ ის, რაც ჩვენ გვინდოდა დღეს გვეთქვა ამ ტრიბუნიდან ქვეყნისთვის. მე ვფიქრობ, ბატონებო, რომ რიგი ახლა ხალხზე და დარწმუნებულნი ვარ, რომ ქვეყანა ღირსეულად დაიფასებს იმ სიმართლეს, რაც დღეს ამ ტრიბუნიდან თქვა თითოულმა ჩვენგანმა. ხოლო უკანასკნელათ, ნება მიბოძეთ, სოც დემოკრატიული ფრაქციის სახელით წავიკითხო შემდეგი განცხადება: (კითხულობს ფრაქციის დეკლარაციას, რომლის დაბეჭდვის ნებართვა სამხედრო ცენზურამ ჯერაც არ დავგრობო...)

დებუტატ ა. ჩხენკელის სიტყვა*)

წარმოთქმული დუმის პირველ აგვისტოს სხდომაზე, სადაც არჩეულენ კანონ პროექტს გან-

*) იხ. „თანამ. ახ.“ № 131.

საკუთრებულ სამხედრო თათბირის დაარსების შესახებ.

ერთი წელიწდი, რაც ომი დაიწყო და დღეა მხოლოდ დღეს შეუდგა საკანონმდებლო მუშაობას. დღემდე დღეა მისი უმრავლესობის სახით, მხოლოდ ოვაციებს და მანიფესტაციებს უმართავდა, ასე წოდებულ, მთავრობასთან შეერთებას და მონობის განტყიცებას. მთავრობა ომს აწარმოებდა, დღეა-კი მას ტაშს უკრავდა. შედეგათ-კი მოყვა საშინელება, უნდა ვთქვა, სრულიათ ბუნებრივი და აუცილებელი. ჯარი ყოველმხრივ გაქურდეს. (მარჯვენე ძლიერი ხმაურობა).

თავმჯდომარე ვარუნ სეკრეტო დებუტატს თხოვს, რომ მან უფრო შესაფერი გამოთქმა იხმაროს.

ა. ჩხენკელი განაგრძობს:

— სამხედრო ძალები უსაქაროეს და უპირველეს საგნებს მოკლებული, ჯარი, სისხლისგან დაკლილი, უკან იხევს. მთავრობა გრძობს პასუხისმგებლობას, რომელიც მას ქვეყნის აურაცხელ უბედურების გამო, თავს დაატყდა და ჩქარობს, რომ ეს პასუხისმგებლობა დღემს თავზე მოახვიოს. ამ აზრმა, ბატონებო, გამოიწვია ის მოვლინება, რომ დღეს მთავრობას თქვენდა განსახილველათ თვისი კანონპროექტი შემოაქვს. მთავრობა სახელმწიფო დუმის წევრებს სამხედრო სამინისტროსთან განსაკუთრებულ თათბირში იწვევს და ამით მას სურს, რომ თავის დანაშაულობაში პალატაც მოხიარეთ გაიხადოს. (მარჯვენე და ცენტრში საშინელი ხმაურობა და პროტესტები).

მარუნ სეკრეტო კიდევ აჩერებს დებუტატს და თხოვს, რომ შესაფერი გამოთქმები გამოარჩიოს.

ჩხენკელი განაგრძობს: სახელმწიფო დუმის თავმჯდომარეს და კერძო წევრებს სამხედრო სამინისტროსთან არსებულ თათბირში მონაწილეობის უფლება არ ქონდათ. ამით მათ სულ მთლიანა გააქარწყლეს ის მცირე უფლებებიც,

რომელიც დღემდე დღემდე დუმას შერჩა. მათ ეს ნაბიჯი დუმის დაუკითხავათ და მის დაუდასტურებლათ გადადგეს. სამხედრო სამინისტროსთან არსებულ თათბირში მიწვეული სახელმწიფო დუმის წევრები ჯარის საჭიროების დამაკმაყოფილებელ კომისიის პირდაპირ ხელმძღვანელი არ არიან. ისინი სამხედრო მინისტრის მრჩეველნი არიან, იმ სამხედრო მინისტრის, რომელსაც პროექტის ძალით, მთელი უფლება ეძლევა, თითქმის დიკტატურა. დი არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ, ერთი მხრივ, — უფლების დიკტატურამ და მეორე მხრივ — სრულმა უფლებობამ ქვეყანა ჯურღმულის პირზე მიიყვანა. და ახლა-კი, როცა დიკტატურა კანონდება, თქვენა გსურთ, რომ ქვეყანა მომავალ განსაცდელისგან იხსნათ! ჩვენ ვიტანჯებით არა დიკტატურის უქონლობით, არამედ მისი სიუხვიით, მისი ყოველ სფეროში განუსაზღვრელათ ვამფებით. 150 მილიონი მცხოვრებნი მთავრობამ უსიტყვო არსებით გადააქცია, რომელთაც უფლება აქვთ ზღვასისხლი ღვარონ. მარა საწინააღმდეგოთ ხმის ამოდების ნება-კი არა აქვთ! მუშებს, რომელნიც თავის პირობების გაუმჯობესებას ელტვიან, სახელმწიფო დალატს აბრალებენ. მერე, ვინ მოახვია მათ ეს ბრალდება? სწორეთ მათ, რომელნიც თქვენ თვით მოლაღატეებათ ცანით. სადაა იმის გარანტია, რომ მუშები, რომელნიც თქვენ თათბირში შემოვლენ, სულ სხვა ალაგს არ მოხვდებიან, — თავს არ ამოყოფენ შორეულ ციმიბირში? თქვენ გჭირდებათ არა მუშები, არამედ სტატისტიკები, რომლებსაც, სურვილისამებრ თქვენნი ანტიხალხური ნაბიჯები გინდათ. მიაკუთნოთ. ეს კიდევ ცოტაა! მთავრობის წიაღში შრომის მილიტარიზაციის პროექტი მზადდება. ქარხანა-ფაბრიკებთან მთავრობას სურს გადაჯაჭვოს მუშები, სურს სამხედრო მოსამსახურეებათ აქციოს ისინი, სურს წაართვას უფლება, არა მარტო საქმით, არამედ სიტყვითაც, რომ შრომის უსაზღვრო, ექსპლოატაციის წინააღმდეგ მათ ხმა ვერ ამოიღონ. — შრეწვე-

ლები უკვე შეამდგომლობენ, რომ ამ ომი-
ნობის დროს მოისპოს ყველა ის შეღავათი,
რომელიც შრომას იცავდა და, აი, პატრიო-
ტული მოლაპარაკების შედეგი. ხდება არა
მრუწველობის მილიატარიზაცია, არამედ მო-
გებათა მობილიზაცია. (შემარცხენე ია სკაპე-
ზიდან ისმის ხმები: ვაშა)“.

ჯარისთვის იარაღის მიწოდება — კი არა,
ხალხის ფულით მრეწველთა ჯიბეების გასქე-
ლება ხდება. (მარცხნიდან ტაში).

— ბატონებო, თქვენი ვალდებულობაა სი-
მართლედო თქვით. დღემდე იცის სიმართლე, მა-
რა არ სურს, რომ თქვას, და ამ დარბაზის
კარებს ხურავს, მთავრობას ეჩურჩულოს.

— დუმის წევრო ჩხენკელო, — აჩრებს
მას ვარუნსეკრეტი, — მე თქვენ სიტყვებს დუ-
მის შესახებ უღალგათა ვთვლი; ის არ შეე-
ფერება დეპუტატს. ვთხოვ, საკითხის არსებით
შხარეზე ილაპარაკეთ.

— მარა არის, ბატონებო, მეორე საკით-
ხიც, — განაგრძობს ორატორი, — ჩვენ უნდა
მოვიპოვოთ ერთად ერთი უფლება და ვადვიქ-
ცეთ იმ ორგანოთ, რომლის წინაშე, როგორც
აქაურ, ისე ფრონტის მთავრობის ორგანოებმა
პასუხი უნდა ავოს და თქვენ — კი, რას შერე-
ბით? თქვენ განსაკუთრებულ თათბირზე მიდი-
ხართ. ნება მომეცით, წაგიკითხოთ ერთი სიტ-
ყვა, რომელიც ინგლისის მინისტრმა, ლოიდ
ჯორჯმა რუსეთს უძღვნა, და რომელზეც კა-
დეტების ორატორმა აჯემოვმა მიგითთათ. ეს
სიტყვა გახეი „რუსკოე სლოვოში“ გამოქვეყ-
ნდა. ტელეგრაფის სააგენტომ, რასაკვირველ-
ია, იგი არ დაგზავნა. ჩხენკელი ლოიდ ჯორ-
ჯის სიტყვას კითხულობს:

— „ამომსავლეთით ცა მწყრალათ მოი-
ღუშა. ვარსკვლავები შავ ღრუბლებს მოეფა-
რა. მე ამ ჰორიზონტს ვაგნერებვიარ უშიშ-
რათ, თუმცა მოუსვენრათ — კი. მე ამ ცაზე ნა-
თელ ხაზს უკვე ვხედავ. ის ნათელ ფერს ღე-
ბულობს. ჩვენმა მტერმა არ უწყის, რას ჩადის
თავის ძღვეამოსილ მსვლელობით. განა არ
უწყის, რომ თავის სასწაულმოქმედ არტილე-
რით ის რუსეთის ბოკილებსა გლეჯს, ამხზე-
რევს იმ დაჯანგულ ბოქლომებს, რომელსაც
რუსეთის ხალხის ძალა ყავდა ჩამწყვდელი.
ის უკვე დგება, ის ხალხი თავის მძლავრ ფრ-
თებსა შლის. დამხუთავ ჯაჭვებისგან თავისუფ-
ლდება...“ და სხვა.

— და აი, ბატონებო, — განაგრძობს
ჩხენკელი, — ჩვენი საკითხების შესახებ, რას ამ-
ბობს ინგლისის მინისტრი. მან ეს საკითხები
ვაიგო, მარა თქვენ ვერ ვაიგეთ იგი. მე მიე-
მართავ კადეტებს, რომელნიც ლოიდ ჯორჯს
ყოველთვის სახელმწიფო მოღვაწის ნამდვილ
შავალითათ სახავენ, ინგლისის მინისტრს რა-
ტო დღეს არ ეთახმებით?

— ვინ ვითხრათ, რომ არ ვეთახმებით?
— იძახის ა. შინგარიოვი, რომელიც კარების-
კენ მიდის. (საერთო სიცილი).

— მთელი თქვენი ტაქტიკა იმას ამტკი-
ცებს, რომ თქვენ ლოიდ ჯორჯის აზრებს არ
ეთახმებით, — ეძახის მას ბათუმელი დეპუტატი.

— დუმის უმრავლესობა იმგვარივეთ
დარჩა, როგორც აქამდე იყო — იმ მთავრო-
ბის მომხრეთ, რომელსაც აქ ალავი არ უნდა
ქონდეს. რა გვითხრა ჩვენ მთავრობამ იმ თავ-
მჯდომარის პარით, რომელიც ხალათში და
ქოშებშია გამოწყობილი.

ვარუნსეკრეტი. დუმის წევრო ჩხენკელო,
მეორეთ გაფრთხილებთ: თქვენ სიტყვას წაგარ-
თმევთ.

ჩხენკელი. ეხ, ლმერთო ჩემო, თქვენ
ვერც კი იგრძენით ის არარაობა, რომლის
წინაშეც თქვენ ეყავით...

— ახლა ვგრძნობთ! ადგილიდან ყვი-
რის პ. კრუბენსკი და ჩხენკელზე ათიფებს, —
ისმის ხმები: არ შეიძლება სიტყვა — „ახლა
ვგრძნობთ“ სტენოგრაფიაში შევიტანოთ?

ჩხენკელი. ჩხუბს ნუ სტვხთ! რა ვითხრა
თქვენ მთავრობამ? მან განაცხადა: „დღეს ში-
ნაურ რეფორმებისთვის დრო არ არისო“. მე-
მარჯვენებმა, ნაციონალისტებმა და ცენტრმა ეს
მოიწონა. მარა ეს რაა! სახალხო თავისუფლე-
ბის ფრაკციამ ომის დროს თავის პარტია არ არ-
სებულათ გამოაცხადა. რიახ, არ არსებულობა ის
პარტია, რომელმაც ამგვარ მომენტში თავის
პროგრამის უმთავრესი მუხლი მოსპო.

ქვეყნის წინაშე დუმის წმიდა მოვალეობა
იყო ძირითადი პოლიტიკური საკითხები დაეს
ვა და ხალხის შემწვობით მის გადაწყვეტისკენ
სიჩქარით წასულიყო. მარა დუმის უმრავლეს-
ობა და მასთან ერთად, ასე წოდებული, პასუხის
მგებელი ოპოზიცია სულ სხვა გზით წავიდა.

— გერმანიის სოციალდემოკრატები? — ისმის
ადგილიდან.

ა. ჩხენკელი.—გერმანიაში საყოველთაო სა-
არჩევნო უფლება შემოიღეს.

—აპრობენ, მარა არ შემოულიათ!
—ყვირიან ადგილიდან.

ა. ჩხენკელი. დუმამ იმედები ვერ ვაიმარ-
თლა. მე ამას ხმა მიღო ვადასტურებ...

ბ. ვარუნ ხეკრფტი. თუ თქვენ საკითს კი-
დევ გვერდს აუვლით, იძულებული ვიქნები,
სიტყვა წაგართვათ.

—სოციალდემოკრატიული ფრაქცია,—ათა-
ვებს დებუტატი,—ამ საკითხის გადაჭრაში ხმის
მიცემას არ აპრობს. ის პასუხს არ აგებს იმ
მშინაარა და ვამყიდველ ნაბიჯებში, რომელსაც
საწელსწაფო დუმის უმრავლესობა დგამს...

მარჯვნივ და ცენტრში ძლიერი ხმაურობაა,
რაც ორატორის ლაპარაკს ხელს უშლის. რაც
შეუძლია, ხმას იმაღლებს და უკანასკნელთ
ყვირის:

—ამ მთავრობის დაცვა—დალატია!
თავმჯდომარე ზარს არაწყენებს: მარჯვნივ
და ცენტრში მკაცრი პროტესტები ისმის.

ა. ჩხენკელი ისევ ტრიბუნაზეა. საშინელი
ხმაურობაა მარჯვნიდან და ცენტრიდან ისმის-
„გააგდეთ ვარეთ!“ მარცხენა ფრთა ვანუწყე-
ტელ ტაშის ცემას მოუკავს.

თავმჯდომარის სიტყვა ძლივს ისმის:

—გთხოვთ ტრიბუნიდან ჩამოგვიდეთ, წინა-
დადებებს ვაძლეე დუმას, რო ჩხენკელი 10 სხლო-
მიდან გამოირიცხოს.

დარბაზში არეულობაა. ოპოზიცია თავის
ალაგიდან დგება. სოციალდემოკრატები და
ტრადოციკები ვარს ეხვევიან ორატორის ტრი-
ბუნას, რომელზეც ჩხენკელი ისევ ისე დგას.

—სტენოგრაფს გთხოვთ!—დღლაეს ნ. ს. ჩხე-
იძე.

—სტენოგრაფა! სტენოგრაფა!—ისმის ადგი-
ლებიდან.

თავმჯდომარე შესაფერ განკარგულებას მო-
ახდენს და ბათუმის მხრის დებუტატს საკითხის
გამოსარკვევათ სიტყვას აძლევს.

ა. ჩხენკელი.—ბატონებო, მე თქვენ მხო-
ლოთ ერთს გეტყვი: სიტყვა ხალხს ეკუთვნის
(ხმები ცენტრში: „და არა თქვენ“). მის წინ
საბედისწერო არჩევანია: მან, ან თავი უნდა
მოიხაროს კიდევ უფრო საშინელი ახალი საფ-
რთხეს და კიდევ უფრო დამონების წინაშე, ან
უნდა გავლიჯოს მისი შემბორკავი ჯაჭვები, სა-

ცოდავ სამი იენისის დუმას უნდა გადააბიჯოს
და უფლება მოსილათ თქვას თვისი სიტყვა
ომზე და ზავზე.

სოციალდემოკრატები და ტრადოციკები გაც-
ხარებით ტაშს უკრავენ. მარჯვნივ და ცენტრ-
ში პროტესტები ისმის.

ჩხენკელი ტრიბუნას ტოვებს. თავმჯდომარე
ზარს არაწყენებს, სანამ სიტყმე არ ჩამოვარდ-
ბა. თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელის სხლომები-
დან განდევნის შესახებ საკითხსა სვამს.

—წინადადებას ვიძლეევი, რო ჩხენკელი 3
სხლომიდან ვაგაძევოთ. დუმას მოღალატეობა
დასწამეს და ეს შეურაცყოფა უშედეგოთ არ
უნდა დარჩეს. (მარჯვნივ და ცენტრში ტაშის
კვრა.)

200 ხმით—63 ხმის წინააღმდეგ ვარურ-სეკ-
რეტის წინადადება მიიღეს.

სოციალ-დემოკრატები პროტესტის ნიშნათ
თავის ალაგებს ტოვებენ,—ჩხენკელს ვარს ეხ-
ვევიან და სხლომის დარბაზიდან ვაღიან.

გარდლო ჩხეიძის სიტყვა.*)

დუმის 3 აგვისტოს სხლომაზე, სოციალ-
დემოკრატებმა შეიტანეს შეკითხვა, რომელზეც
ხელს აწერდენ ტრადოციკები და კადეტები.
შეკითხვა ეხება იმ პოლიტიკას, რომელსაც რუ-
სეთის მთავრობა ომის დასაბრუნებელად მცხოვ-
რებლებისადმი ხმარობდა. შეკითხვის სიჩქარეს
მხარს უჭერდენ ნ. ჩხეიძე და ძიუბინსკი.

—მე ვფიქრობ, ამბობს ნ. ჩხეიძე,—რო
ჩვენი შეკითხვის სიჩქარის დასაბუთება თითო-
ულ თქვენგანს შეუძლია. ყველა იმ საბუთები-
დან, რომელიც შეკითხვის სიჩქარეს ამტკიცებს,
მე ვაფიქრებდი მხოლოთ ერთზე. თქვენ კარ-
გათ უწყით, რო სამი იენისის რეჟიმის მთავრო-
ბა ებრაელთა უფუფლებობაზე მუდამ ჟამს ეყრდ-
ნობოდა და ყოველ კრიტიკულ მომენტში პირ-
ველათ ყოვლისა ებრაელებს ცემდა თავში,
ურტყამდა მას, ვინც ნაკლებ წინააღმდეგობას
უწევდა. თქვენ კარგათ გახსოვთ ის დრო, როცა
რუსეთში გამათავისუფლებელი მოძრაობის პირ-
ველი ნიშნები გამოჩნდა. მაშინ წთავრობამ ებ-
რაელების წინააღმდეგ ვაილაშქრა და მის პაგ-
რომებს, ებრაელთა აწირება აობრებას შეუღ-
და. ეს ხო შევნივრათ ვახსოვთ? როცა 3 იე-
ნისის რეჟიმმა ეგრძნო, რო მან თვისი თავი

*) იხ. „თანამ. აზ.“ № 138.

ამოსწორა, როცა იგრძნო თვისი უკანასკნელი წუთები და, როცა ამ რეჟიმზე დამყარებული ილიოუზიები გაქრა, მაშინ მთავრობა ებრაელებს ზურგს უკან ამოეფარა, მათ უკან სანგრები გაიკეთა და პოზიციები გააძაგრა. მოიგონეთ, ბატონებო, სამარცხენო პროცესი-ბეილისის საქმე! ერთი წლის წინათ ოპი დატრიალდა და, ჩემის აზრით, ამ ომის მთავარი აზრი იყო სამი იენისის რეჟიმისვის საბედისწერო საკითხი დაესვა: ყოფნა არ ყოფნის საკითხი და, აი, მთავრობა ისევ ებრაელებს უბრუნდება. მარა რიტუალური მკვლელობის მაგიერ, დღეს ებრაელებს ლალატს და გამცემლობას აბრალევენ! დღეს მთელმა რუსეთმა და მთელმა ქვეყანამ იცის, თუ ვინაა იმაში დამნაშავე, რო რუსეთი ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რა გორც შინ, ისე ომის ასპარეზზე. ამაში დამნაშავენი იყვენ არა ებრაელები. ამას იტყვის, ამას კვირს დაუკრავს მთელი ქვეყანა. დამნაშავენი იყვენ ისინი, ვინც ჯარისთვის სურსათის მიწოდების მაგიერ თავის ჯიბეებს ისქელლებდენ (ხმები მარცხნიდან: „სწორეა“), დამნაშავე იყვენ ისინი, ვინც მასოედოვის, გროტკუსის და სხვა გამცემების წყალობით რუსეთს დალატობდენ, და, თუ სიტყვა მართლა იმას ეხება, თუ ვინაა ნამდვილი დამნაშავე რუსეთის ამ პერობებში ჩავარდნისა, ამ შემთხვევაში უნდა დაესვათ საკითხი: როგორი მონაწილეობა მიიღო იმ მოლაღატეების ორგანიზაციაში, რომლის წევრებიც ჩამოახჩვეს, მან, რომელიც სამი იენისის რეჟიმის სრული და საუკეთესო გამომხიტველი იყო. — როგორი მონაწილეობა მიიღო ახლახან წასულმა შინაურ საქმეთა მინისტრმა, ბ. მაკლაკოვმა? ბატონებო, თქვენ მთელი წლის განმავლობაში გამტკიცებენ, რომ ეს სასაკლაო, რომელიც დღეს გაუმართავთ, ეს სისხლის ზღვა, რომელიც დღეს იქცევა, რა ყველაფერი ეს სიმართლის და კანონიერების გულისთვისაა, რომ ეს უმაღლესი პრინციპის, თავისუფლების, მშობის, ერთობის სახელით ხდება. თუ ეს ასეა, ბატონებო, ჩვენი შეკითხვა სიჩქარით მიიღეთ და, ნება მიბოძეთ, მთავრობას შევეკითხო, რომელი კანონიერების სახელით უნდა აგოს პასუხი მთელმა ხალხმა, თუნდაც რომელიმე წევრების დანაშაულობისთვისაც კი. რომელი სიმართლის სახელით გამოიგონეს და

მოკორეს ცნობა, თითქოს კუჭში ებრაელებს რუსის ჯარი გაეცეს, გაეყიდოს? რისთვის გამოაქვეყნეს ეს „მთავრობის უწყებაში“? რომელი თავისუფლების სახელით უნდა გადაეხდევინებინა მთავრობას ჯარიმა იმ პერიოდულ გამოცემებისთვის, რომელიც ამ ცრუ ამბავს არ დაბეჭდავდა? რომელი სამართალი და სიმართლე მოითხოვს, რომ ებრაელი მოხალისე ჯარისკაცი, ბძოლის ველზე დასახიჩრებული რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ბინას ვერ პოულობს და 24 საათის განმავლობაში ასახლებდენ? რომელი კაცთმოყვარობის სახელით უკრძალავდენ საქმლის მიწოდებას ვაგონებში დაშუყვდიულ გადმოხვეწილ ებრაელთათვის? რომელი მოვისუფლების სახელით ისპობა, ერთი კალმის მოსმით ებრაელების პრესა? რომელი მშობის სახელით აქვებენ ჯარის ერთს ნაწილს ებრაელ ჯარის კაცებზე, რომელნიც სანგრებში სხვებთან ერთად სხედან? გერმანელებს ამტყუნებთ, რომ მათ ომის წესები დაარღვიეს, რომ ისინი სულის შემსუთავ გახვებს ხმარობენ და ტყვეებს ასახიჩრებენ. ჩვენში ეს მოქმედება უღრმეს ზიზღს და პროტესტებს გამოიწვევს. დეე. ამგვარი მოქმედება გერმანიის მართველ კლასებს და მთელ ბურჟუაზულ კლასს ლაქათ მოეკზოთ. მარა, ბატონებო, რომელი წესის ძალით ჯარში ბძანებას უშვებთ, რომ მშვიდობიან ებრაელთა მცხოვრებნი დევნონ და ტყვიებს შეუშვირონ? რომელი წესის ძალით მიკვავო მძევლათ რუსის ქვეშევრდომი ებრაელები იმისთვის, რომ სატუსაღოებში ჩამაშუყვდიონ, აწამონ, სტანჯონ და დახვრიტონ?

გერმანელებს ამტყუნებთ, რომ მათ არ დაინდვეს ხელოვნების საუკეთესო ძეგლები, დაანგრიეს ლუვენის, რეიმისის ტაძარი. მარა მე თქვენ გეკითხებთ, რომელი ეთიური, ან ესთეტიური პრინციპის სახელით აუპატურებენ ებრაელ ქალს, რომელიმაც თავის გადასარჩენათ სინაგოვას თავი შეაფარა? (ხმები მარჯვნიდან: „რაიო? რა სისაძაგლეა!“) დიახ, ეს სისაძაგლეა. მარა ეს ფაქტია. დიახ, ბატონებო, ბურჟუაზულმა ქვეყანამ თვისი სახე გამოაჩინა, და მისთვის, ოქროებსა და ჯავშნიანი მუშტის გარდა, წმიდა აღარაფერი არ არსებობს. (ჭაში მარცხნიდან).

უოველდღიური საზოლიტიკო და სალიტერატურო გასეთი

 „სახალხო ფურცელი“ 

(ნახატებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ. Газ. „Сахалхо Пурцели“. Поч. ящ. № 190.

თჳილისის წიგნის მაღაზიეზი იჳიღეზა

გ. თუმანიშვილის წიგნები:

Итоги земских совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія,

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.— ქართული თე-
ატრი. —რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შეესებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.